2021-2022 სასწავლო წლის 1 სემესტრის ანგარიში

2021 წლის 15 სექტემბერს კორონავირუსის გამო დაწესებული რეგულაციების გამო უჩვეულო, გამოწვევებით სავსე, მაგრამ მაინც სასურველი, საინტერესო და სასიამოვნო სიახლეების მომტანი ახალი სასწავლო წლის პირველი სემესტრი დისტანციურად დაიწყო!

გასული წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ შეგვიძლია დაბრკოლებების გადალახვა და წარმატებების მიღწევა, რისი დასტურია ჩვენი კურსდამთავრებულების მიღწევები ეროვნულ გამოცდებზე „ანაბასისის“ ოცივე კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა.

4 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ყველა წესის და რეკომენდაციის დაცვით!

საქართველოს განათლების მინისტრის განცხადებით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, მათ შორის მოსწავლეებისთვის სავალდებულო იყო პირბადის ტარება საგაკვეთილო პროცესის დროს.

სკოლის შენობაში ჩატარდა შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოები ,რომელიც აუცილებელია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისთვის!

რაც შეეხება სკოლის თანამშრომელთა ვაქცინაციის პროცესს, 75% ვაქცინირებული იყო, როდესაც სასწავლო პროცესი საკლასო ოთხებში განახლდა.ყოველ კვირაში იტესტებოდა ყველა თანამშრომელი და ეს პროცესი სისტემატიურად განხორციელდა მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით წარმატებით სრულდებოდა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით ჯანდაცვის მიერ შემუშავებული სავადებულო ქვემოთ ჩამოთვლილი რეგულაციები:

„ მშობლების ვალდებულებებია:

მოსწავლეს დილით სახლიდან გამოსვლამდე გაუზომოს ტემპერატურა. თუ დაუფიქსირდება 37 და მეტი არ გამოუშვებთ სკოლაში, დაუყოვნებლივ რეკავთ დამრიგებელთან და ატყობინებთ გამოუცხადებლობის მიზეზს. თუ ბავშვს ექნება ვირუსისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშანი- სისუსტე, ხველა, სუნთქვის გაძნელება, გამონადენი ცხვირიდან, ყელის სიმშრალე და ა.შ არ აგზავნით სკოლაში და მიმართავთ ოჯახის ექიმს, ამასთანავე ატყობინებთ დამრიგებელს.

სკოლაში შვილს გამოატანეთ სასმელი წყლის ბოთლი, რომელზეც მითითებული იქნება მოსწავლის სახელი და გვარი.

მოსწავლეების ვალდებულებებია:

*აუცილებელია თერმოსკრინინგი ჩავიტაროთ სახლიდან გამოსვლის წინ და სკოლის შესასვლელში!

*დავიცვათ პირადი ჰიგიენა და სისუფთავე ჩვენს ირგვლივ!

*დავიცვათ 1 მეტრიანი დისტანცია კლასში, დერეფანში!

*ვატაროთ პირადი წყლის ბოთლი სახელი და გვარის მითითებით!

*არ ვისარგებლოთ ერთმანეთის ნივთებით!

*გრიპული სიმპტომების შემთხვევაში დავრჩეთ სახლში, შევატყობინოთ ექიმს და კლასის დამრიგებელს!

*ხელები დავიბანოთ ხშირად !

*ხელები შევიმშრალოთ ქაღალდის ხელსახოცით!

*ხელები ხშირად დავიმუშაოთ სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც განთავსებულია სკოლის დერეფნებში და სველ წერტილებში!

*ავკრძალოთ შეჯგუფება, თავშეყრა!

*ფეხები გავიწმინდოთ დეზობარიერზე!

*მოსწავლე სკოლაში უნდა გამოცხადდეს თმაშეკრული,გაშლილი თმები არ შეიძლება!

*ყოველ დასვენებაზე დამრიგებელთან ერთად სადეზინფექციო ხსნარით გადავასუფთაოთ მერხის ზედაპირი!

*ყოველ დასვენებაზე გავანიავოთ ფანჯრის გაღებით ოთახი!

კიდევ ერთხელ მოგმართავთ ყველას, დავიცვათ დისტანცია და თავი შევიკავოთ ახლო კონტაქტებისაგან!

სკოლაში მოსვლის შემდეგ დამრიგებლები თავიანთ კლასებში ჩაატარებენ საუბრებს

და მოსწავლეებს გააცნობენ პანდემიის პრევენციისთვის შემუშავებულ ქცევის წესებს, რომლის დაცვა აუცილებელია ყველასათვის, რათა სწავლა -სწავლება წარიმართოს რეალურ სივრცეში და არ მოგვიწიოს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ.

სკოლის შენობაში მოსახვედრად მოსწავლეები ისარგებლებენ ორი შემოსასვლელით, სადაც მოხდება თერმოსკრინინგი და გაივლიან დეზობარიერს მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ნაკადის თავიდან აცილების მიზნით;

მშობლებს ვთხოვთ, სწავლის დაწყების პირველ დღეს თავი შეიკავონ სკოლის ეზოში შემოსვლისგან. მოსწავლეებს სკოლის ჭიშკართან დახვდება დამრიგებელი, რომელიც უხელმძღვანელებს მოსწავლეთა ორგანიზებულად შემოყვანას შენობაში შესაბამისი რეგულაციების სრული დაცვით (თერმოსკრინინგი, დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება) .

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლე ტოვებს სკოლის ტერიტორიას და მას სკოლის ჭიშკართან ელოდება მშობელი.

საჭიროების შემთხვევაში კლასის დამრიგებლები მოახდენენ მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს რეგულაციების სრული დაცვით. ამ დროს მშობელი მოვალეა სკოლაში გამოცხადდეს პირბადით და სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების წესების დაცვით.

ხელი შევუწყოთ საკუთარი და გარშემომყოფთა ჯანმრთელობის დაცვას!

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

ერთად ყველა გამოწვევას ღირსეულად გავუმკლავდებით!

გისურვებთ ჯანმრთელობას!“

ოქტომბერში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში 100 % - იანი გრანტის მქონე სტუდენტების დაჯილდოება გაიმართა. მერიის მიერ დაჯილდოებულ 16 წარმატებულ სტუდენტს შორის ოთხი ანაბასისელი იყო - ლიზი სამხარაძე, ნინი შერგელაშვილი, მარიამ აბესაძე, თამუნა ჩინჩალაძე.

ვულოცავთ მათ ამ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

22 ოქტომბერი, 2021 · სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში დაიგეგმა სასკოლო პროექტი თემაზე: „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მდგრადი განვითარების მიზნები“ , რომელშიც აქტიურად ჩაერთო მთელი სასკოლო საზოგადოება.

პროექტის მიზანია:

- მოსწავლეები გაეცნობიან და გაანალიზებენ ჯანსაღი ცხოვრების წესის რაობასა და მნიშვნელობას .

• მოსწავლეები გამოიკვლევენ და გააანალიზებენ ჯანსაღი ცხოვრების წესის შემადგენელ თითოეულ კომპონენტს.

• მოსწავლეები გამოიმუშავებენ პრევენციული ღონისძიებების დასახვა განხორციელების უნარ-ჩვევებს.

• მოსწავლეები შეძლებენ გააზრებით მისდიონ ცხოვრების ჯანსაღ წესს.

• მოსწავლეები შეძლებენ გაითავისონ არაჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარ თანატოლთა პრობლემები ,იმსჯელებენ როგორ მოიქცევიან და რას მოიმოქმედებენ მათ დასახმარებლად და სწორად ახსნიან, რატომ უნდა გაუწიონ დახმარება სხვებს და რატომ უნდა გაითავისონ სხვისი პრობლემები;

2021 წლის 21 ოქტომბერს პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროექტის მიზნისა და ამოცანების გასაცნობად.

სკოლის დირექტორი ქეთევან ედიბერიძე და ხარისხის მართვის მენეჯერი თეა სამხარაძე მოსწავლეებს ესაუბრა პროექტში მათი აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე.

მოსწავლეებმა მზაობა გამოთქვეს პროექტში ჩასართავად, შეიქმნა სამოქმედო გეგმა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების კალენდარი.

22 ოქტომბერი, 2021 · ანაბასისში I ა და I ბ კლასში საზეიმო განწყობა იგრძნობოდა, პატარებმა ანბანის ჯადოსნურ სამყაროში შეაბიჯეს და სტუმრების წინაშე თავი მოიწონეს აქტიურობით და საღი აზროვნებით. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს პატარა ანაბასისელებს თავიანთ აღმზრდელებთან ერთად.

პედაგოგები თამარ ვეფხვაძე და ეკა ჯიმშიაშვილი.

ოქტომბერში-ანაბასისის მოსწავლეები ხატია ჩიბურდანიძე და თეიმურაზ გოგიაშვილი საერთაშორისო კონკურსის ფინალში არიან!

ვულოცავთ ჩვენს ნიჭიერ და მიზანდასახულ ახალგაზრდებს მორიგ გამარჯვებას თავიანთ პედაგოგ ქეთევან ედიბერიძესთან ერთად და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

„ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარ“- თქვენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი.

181-ე საიუბილეო კვირეულის აღსანიშნავად, სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის დაწყებითის კათედრამ ტრადიციულად განახორციელა პროექტი სახელწოდებით „პატარა ქვეყნის დიდი ბრძენკაცი“.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა მრავალფეროვანი აქტივობები:

I ა კლასი (პედაგოგი თამარ ვეფხვაძე) იზეიმეს ანბანის შემობრძანება.

I ბ კლასში (პედაგოგი ეკატერინე ჯიმშიაშვილი) იზეიმეს ანბანის შემობრძანება და შემოდგომის მოტივებზე შექმნეს პირველი წინადადება -“ აი ია“-საპლიკაცია.

II ა კლასში, (პედაგოგი ლოლიტა ნებიერიძე) პროექტის ფარგლებში- „იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“- შეაჯამეს იაკობ გოგებაშვილის ნასწავლი მოთხრობები, შექმნეს დიორამები, კალიგრაფიული აქტივობა სათაურით „ლამაზად წერა ხელოვნებაა“- დაწერეს იაკობის მოთხრობები და შექმნეს ხელთნაკეთი წიგნები, დახატეს იაკობის მოთხრობებიდან პერსონაჟები და სიუჟეტური სურათები. იაკობის შემოქმედებიდან შემოდგომის თემა დაუკავშირეს მის ნაწარმოებებს სახელწოდებით „შემოდგომა და იაკობი“. ღონისძიება გაფორმებული იყო მუსიკალური ნომრებით.

II ბ კლასში (პედაგოგები: სალომე კაკაურიძე, ეკატერინე ჯიმშიაშვილი, ხათუნა წითელაშვილი) პროექტის ფარგლებში „ ხე ნაყოფით იცნობა“, ქართულ- ინგლისურ ენაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინფორმაცია გოგებაშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ. განახორციელეს აქტივობა - „ ვწერთ სუფთად და ლამაზად“. შემოდგომის მოტივებზე შექმნეს აპლიკაციები, პერსონაჟების ნახატები. მოსწავლეებმა დაამზადეს ინგლისურენოვანი კედლის გაზეთი და ინგლისურად გაითამაშეს „თხა და გიგო“.

III ა კლასმა (პედაგოგი ლანა ჩუბინიძე) „ იაკობი და ჩვენ“ სახელწოდებით ჩაატარა ღონისძიება, რომლის მიზანი იყო არ დავივიწყოთ დიდი მამულიშვილის ღვაწლი,თავდადება, ერთგულება და სიყვარული მშობლიური ენისა. მოსწავლეებმა პატივი მიაგეს ბრძენკაცს- იაკობს. მას მიუძღვნეს კალიგრაფიული ნამუშევარები, წაიკითხეს ლექსები, შექმნეს „დედაენის“ ხელთნაკეთი წიგნები. ელექტრონული რესურსით გაეცნენ მის ბიოგრაფიას.

III ბ კლასი (პედაგოგი შორენა მუმლაძე) წარსდგა აქტივობით „იაკობი და შემოდგომა“.

IV ა კლასი (პედაგოგი თეა გურაბანიძე) მოსწავლეებმა შექმნეს დიორამა და წაიკითხეს ისტორიული მოთხრობები.

IV ბ კლასი (პედაგოგი თამარ კობახიძე) თემით-„ბრძენკაცის დარიგება“, მოსწავლეები გაეცნენ იაკობის ბიოგრაფიას, მისი შემოქმედებიდან წაიკითხეს ლექსები და მოთხრობები. ყურადღება გაამახვილეს იაკობის შემოქმედებიდან შემოდგომის თემაზე. ბავშვებმა- „ვწერთ ლამაზად და სუფთად“ წარადგინეს ხელთნაწერი მოთხრობები.

პროექტის ფარგლებში შექმნილმა მრავალფეროვანმა და საინტერესო რესურსებმა სასკოლო სივრცე გააფერადეს.

31 ოქტომბერი, 2021 · ანაბასისის II ბ კლასის თითოეული მოსწავლე ინტერესითა და ხალისით ჩაერთო იაკობ გოგებაშვილის კვირეულისადმი მიძღვნილ პროექტში " ხე ნაყოფით იცნობა" და წარმოადგინეს ქართულ-ინგლისურ ენაზე გოგებაშვილის ბიოგრაფია, ასევე გაითამაშეს სცენები. მწერლის უკვდავი ნაწარმოებებიდან. წარმატებები მათ!

31 ოქტომბერი, 2021 · სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში, დაწყებითის კათედრის მიერ განხორციელებულ პროექტში " პატარა ქვეყნის დიდი ბრძენკაცი", მე-2 ა კლასი შეუერთდა პროექტს სახელწოდებით " იაკობმა მისცა ფრთები, ქართველს ცაში ასაფრენად". "მადლობა შენდა , მადლობა შენდა , მადლობა შენდა დიდო იაკობ!"

2 ნოემბერი, 2021 · კვლევისა და აღმოჩენის დრო ნეკაში. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ესტუმრა სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბის პრეზიდენტი--- ხატია ჩიბურდანიძე და პატარები საინტერესო ცდებით გაახარა და მოხიბლა.

ნოემბერში ანაბასისის II კლასში ბუნების პედაგოგის რუსუდან გურგენაშვილის და სკოლის ბიბლიოთეკარის თამარ გვალიას ინიციატივით მოეწყო წიგნის "დედამიწის გარშემო", ილუსტრირებული ალბომების "თბილისი" და "იმერეთი" ჩვენება-განხილვა.მოსწავლეები დიდი ინტერესით ჩაერთვნენ აქტივობაში. კლასის ხელმძღვანელი სალომე კაკაურიძე.

ანაბასისის IX-XII კლასის მოსწავლები აქტიურად ჩაერთვნენ ონლაინ სემინარში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.

2021 წლის 11-26 ნოემბერს, ნატო-ს დღეები საქართველოში მეცამეტედ გაიმართება. სხვადასხვა საინფორმაციო და შემეცნებითი ღონისძიებები დაგეგმილი იყო, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს 10 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და იმერეთი). პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო შეხვედრები ციფრულ ფორმატში შემდეგ სამიზნე აუდიტორიასთან: მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, საჯარო მოხელეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობები, მედია, და ა.შ.

საინფორმაციო ცენტრის ერთერთ მნიშვნელოვან სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა ახალგაზრდები. 15-25 ნოემბრის ჩათვლით ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სკოლების IX-XII კლასების მოსწავლეებისთვის ჩატარდა ორი სემინარი ნატო და ევროკავშირის თემაზე (სემინარები შედგებოდა Microsoft Teams-ის პლატფორმაზე. ორივე სემინარის გავლის შემდეგ მოსწავლეებს გადაეცათ სერთიფიკატი.

თითო სემინარის ხანგრძლივობა იყო 1 საათი, სადაც ცენტრის რეგიონალური წარმომადგენლი (ტრენერი) განიხილავდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობას, არსებულ პერსპექტივებს და

გამოწვევებს, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესს, ასოცირების შეთანხმებას და უვიზო მიმოსვლას.

ნატო-ს დღეები საქართველოში სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებით გაიმართა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის, საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და საქართველოში პოლონეთის საელჩოს (ნატო-ს საკონტაქტო საელჩო) მხარდაჭერით.

16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღეა! სკოლა ანაბასისი ჩაერთო საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მიერ გამოცხადებულ კონკურსში სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შორის საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლენად.

კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეებს შორის ადამიანის უფლებების და ტოლერანტობის მნიშვნელობის კუთხით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ონლაინ პრეზენტაცია გამართეს, სადაც ისაუბრეს ტოლერანტობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, მოეწყო ვიდეო ფილმების "მრავალფეროვანი გარემო", "თანასწორობა და დისკრიმინაცია" ჩვენება/განხილვა.

შეხვედრაზე მოსწავლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ტოლერანტობა გულისხმობს განსხვავებული მსოფლაღქმის, ცხოვრების წესების, ქცევისა და ჩვეულებების ატანას.

მათ ასევე ისაუბრეს იმის შესახებ,რომ ტოლერანტობა არ ნიშნავს გულგრილობას ან განურჩევლობას, არც განსხვავებული მსოფლმხედველობის ან ცხოვრების წესის იძულებით მიღებას. ის ნიშნავს სხვებისთვის უფლების მიცემას, იცხოვრონ თავიანთი ინდივიდუალური მსოფლმხედველობის შესაბამისად. ის მოიცავს ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ზოგადი უფლების პატივისცემას და არა რომელიმე კონკრეტული არჩევანის პატივისცემას, სხვისი აზრების ქცევისა და შეხედულებების შეწყნარებას.

მოსწავლეებმა აღნიშნეს,რომ ტოლერანტობა გამორიცხავს ძალადობასა და აგრესიის ყოველგვარ გამოვლინებას. ადამიანის შესაძლებლობაა აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა, ღირებულებები. მიიღოს ადამიანი ისეთი როგორიც არის, მთავარია ადამიანური ღირებულებები და არა მისი წარმომავლობა ან თუნდაც სოციალური მდგომარეობა.

1995 წელს, პარიზში ხელმოწერილ იქნა ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია, მის თანახმად ტოლერანტობა - ,,მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება.

ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც.

ტოლერანტობა - სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება." კლუბის მეურვე თეა სამხარაძე.

17 ნოემბერი, 2021 · სკოლა ანაბასისიში საქმიანობა დაიწყო ანაბასისის ნორჩ მკითხველთა კლუბმა,რომლის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

13.10.2021- მკითხველთა კლუბმა განიხილა ნოდარ დუმბაძის მოთხრობები: ,,ძაღლი", ,,ხაზარულა".
20.10.2021-მკითხველთა კლუბმა განიხილა ვაჟა-ფშაველას მოთხრობები: ,,ია", ,,მთის წყარო", ,,ხმელი წიფელი".

27.10.2021-მკითხველთა კლუბმა განიხილა რევაზ ინანიშვილის მოთხრობა-,,კეთილი ბებერი ბუები".

10.11.2021- კლუბმა განიხილა ნოდარ დუმბაძის მოთხრობა ,,უმადური".

კლუბის ხელმძღვანელი ქეთი ყიფიანი

სკოლა ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა ტოლერენტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მიერ გამოცხადებულ კონკურსში,ონლაინ პრეზენტაცია გამართეს, სადაც ისაუბრეს ტოლერანტობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, მოეწყო ვიდეო ფილმების "მრავალფეროვანი გარემო", "თანასწორობა და დისკრიმინაცია" ჩვენება/განხილვა.

კლუბის წევრებმა ჩაატარეს გამოკითხვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში, თუ რას ფიქრობდნენ პატარები ტოლერანტობაზე, შემდეგ კი მათთვის გასაგებ ენაზე აუხსნეს მათ ტოლერანტობის მნიშვნელობა. მადლობას ვუხდით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კონკურსში აქტიური ჩართულობისთვის.

საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან საინტერესოდ წარიმართა ესეების და ნახატების კონკურსი თემაზე „ყველა განსხვავებულია,ყველა თანასწორია“, სადაც მოსწავლეებმა მხატვრულად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულებები ტოლერანტობასთან დაკავშირებით. მოსწავლეებთან ერთად მადლობას ვუხდით ქართულის პედაგოგ მარეხი ფორჩხიძეს და ხელოვნების პედაგოგ ნანა გიორგაძეს კონკურსში აქტიური თანამშრომლობისთვის.

ტოლერანტობის თემაზე დამზადდა საინფორმაციო გაზეთი და ფლაიერები, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

კლუბის წევრების მიერ ტოლერანტობის თემაზე დამზადებული კედლის გაზეთი „ტოლერანტობა - თავისუფლება მრავალფეროვნებაში“ საპრეზენტაციო დაფაზე განთავსდა , ხოლო ფლაიერები ქუჩაში ჩატარებული გამოკითხის შემდეგ დაურიგდა რესპოდენტებს. გამოიკითხა სხვადასხვა პროფესიის ათობით რესპოდენტი, საინტერესო იყო მათი დამოკიდებულებების მოსმენა ტოლერატობასთან დაკავშირებით.

კონკურსში აქტიურად მონაწილე მოსწავლეებთან ერთად სკოლის დირექციამ მადლობის სიგელებით დააჯილდოვა პედაგოგები: კლუბის მეურვე თეა სამხარაძე, ქართულის პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე, ხელოვნების პედაგოგი ნანა გიორგაძე.

ტოლერანტობა ,,მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში.

ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც.

ტოლერანტობა - სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება."

19 ნოემბერი, 2021 · ანაბასისის 2ა კლასში დავიწყეთ კომპლექსურები ბუნებისმეტყველებაში.

თემა: ცოცხალი სამყარო. მცენარეთა ზრდა განვითარება.

საექსპერიმენტოდ შეიქმნა მინი ლაბორატორია, სადაც პატარებმა დათესეს სხვადასხვა მცენარის თესლი. ნაწილი დააბინავეს მზიან ადგილზე. ნაწილი კი- ბნელ ადგილზე დადგეს , პატარები წარმოუდგენელი ინტერესით ელოდნენ შედეგს.

21 ნოემბერი, 2021 · კომპლექსური დავალების -,,წყლის ფიზიკური თვისებების მნიშვნელობა ბუნებასა და ყოფაცხოვრებაში“ ფინალი ქიმიაში. ჩვეულებრივი, შინაური ნივთიერების არაჩვეულებრივი, საოცარი, განსაკუთრებული თვისებების გავლენა მის ,,ქცევაზე“. შესწავლილი ინფორმაციებისა და ექპერიმენტების საფუძველზე, პრეზენტაციებითა და პოსტერებით, ინდივიდუალური ხედვით წარმოადგინეს მერვეკლასელებმა. პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე.

25 ნოემბერი, 2021 · ჭადრაკის პედაგოგის ვიოლეტა შეყილაძის და ბიბლიოთეკის გამგის თამარ გვალიას ინიციატივით მეორე კლასის მოსწავლეები დიდი ინტერესით გაეცნენ ბიბლიოთეკაში დაცულ საჭადრაკო ლიტერატურას, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეების ნონა გაფრინდაშვილის და მაია ჩიბურდანიძის საჭადრაკო მიღწევებს.

მოსწავლეებმა მეტად საინტერესო ინფორმაცია მიიღეს ჭადრაკის წარმოშობის და თამაშის წესების შესახებ.

26 ნოემბერი, 2021 · ანაბასისის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა ბუნების პედაგოგის რუსუდან გურგენაშვილის ხელმძღვანელობით სკოლა ანაბასისის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

დასუფთავების აქცია მოეწყო სასკოლო პროექტის „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია“ ფარგლებში;

ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ამ უფლების დაცვა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სოციალური კამპანიის მიზანია გარემოს დაცვაზე ზრუნვა და ახალგაზრდების გარემოს დაცვით სამუშაოებში აქტიური ჩართულობა, ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სუფთა გარემოს შენარჩუნება.

დასუფთავების აქციის მიზანი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთანაა შესაბამისობაში.

დასუფთავების აქციის ფარგლებში წამახალისებელი შეჯიბრი სისტემატიურად მოეწყობა, გარემოს ყველაზე აქტიური დამცველი კლასი გამოვლინდება წლის ბოლოს და დაჯილდოვდება სპეციალური პრიზით.

2021 წლის 30 ნოემბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების VIII- XI კლასის მოსწავლეებისთვის დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“, რომელიც უკვე წლებია ერთგულად დგას განათლებული მომავალი თაობების სადარაჯოზე. ინტელექტ-ჩემპიონატში მონაწილე ანაბასისის 28 მოსწავლიდან , 12-მა მოსწავლემ წარმატებით გადალახა პირველი ტური და 1 დეკემბერს 10:00 საათიდან 16:00 საათამდე სკოლის სახელით იასპარეზა ეტალონის დისტანციური კონკურსის მეორე ეტაპზე.„ეტალონის“ პედაგოგი თეა სამხარაძე.

30 ნოემბერი, 2021 · 2021 წლის 30 ნოემბერს გაიმართა „იუნესკოს“ მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილი მე-2 რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში!

„იუნესკოს“ მიერ ქართული ჭიდაობისათვის მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ისტორიული გადაწყვეტილების მე-3 წლისთავის აღსანიშნავად, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ, წელს მეორედ ჩაატარა „იუნესკოს“ მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს GE 16 მუნიციპალიტეტის 2003-2005 წლებში დაბადებულმა 120 მოჭიდავემ მიიღო მონაწილეობა. ✊

ტურნირი, რომელიც 27 ნოემბერს დაიწყო და „იუნესკოს“ მსოფლიო აღიარების დღეს - 29 ნოემბერს დასრულდა.

ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტი,რომ გამარჯვებულთა შორისაა ანაბასისის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გაგა ჯუღელი (ზესტაფონი)

ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ თასებით, მედლებით, სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა, ხოლო საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ, გამარჯვებულ სპორტსმენებს ფასიანი საჩუქრები (ვაუჩერები) გადაეცათ.

ვულოცავთ გაგას და მის პედაგოგ კობა სვიანაძეს მორიგ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

10 დეკემბერი, 2021 · სკოლა ანაბასისის მე-4 ბ კლასში ჩატარდა კომპლექსური დავალების "ცოცხალი სამყარო"-ს ბოლო ეტაპი(პრეზენტაცია), მოსწავლეებმა თეორიულ ცოდნასთან ერთად წარმოადგინეს პრაქტიკული ნამუშევრები.

12 დეკემბერი, 2021 · 10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის დღეა.

1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა შექმნეს

მნიშვნელოვანესი დოკუმენტი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ სახით. გაერომ 10 დეკემბერი ადამიანის უფლებების დაცვის დღედ 1950 წელს გამოაცხადა.

ანაბასისში ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კვირეული, რომელიც მოიცავს მდგრადი განვითარების მიზნებს;

სკოლაში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაცნობის მიზნით.

საინფორმაციო პრეზენტაციის მიზანი იყო ადამიანის უფლებების და მოვალეობების არსის და მნიშვნელობის გააზრება; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ადამიანის უფლებების სწორად იდენტიფიცირება და ამ უფლებების დაცვის აუცილებლობაზე არგუმენტების სწორად ჩამოყალიბება ; ადამიანის უფლებათა დარღვევის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება; პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

პრეზენტაციაზე მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად მოწვეული იყვნენ მშობლები.

პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია თემაზე „რისთვის გვჭირდება უფლებები?“, სადაც იმსჯელეს ადამიანის უფლებების მნიშვნელობასა და მათი დაცვის აუცილებლობის შესახებ.

ეკოკლუბის წევრებმა სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებთან ერთად დაგეგმეს კედლის გაზეთის გამოშვება და ბუკლეტების დამზადება თემაზე " ჩვენი უფლებები საყოველთაო და მარადიულია“, რომელიც დარიგდება ქალაქში საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ბუკლეტებზე მუშაობისას მოსწავლეები იხელმძღვანელებენ "ადამიანის უფლებათა დეკლარაციით".

12 დეკემბერი, 2021 · ანაბასისის I ა და I ბ კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელები: თამარ ვეფხვაძე და ეკა ჯიმშიაშვილი) სკოლის ბიბლიოთეკას ესტუმრნენ.

ბიბლიოთეკის გამგემ თამარ გვალიამ უმასპინძლა პირველკლასელებს და საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესახებ. პატარები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ სკოლის ბიბლიოთეკას და უსმენდნენ ქალბატონ თამარს.

12 დეკემბერი, 2021 · სკოლა ანაბასისში ახალგაზრდა ჩემპიონთან, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გაგა ჯუღელთან და მის მწვრთნელთან კობა სვიანაძესთან გაიმართა შეხვედრა.

გაგამ 2021 წლის 30 ნოემბერს „იუნესკოს“ მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილ მე-2 რესპუბლიკურ ტურნირში გაიმარჯვა ქართულ ჭიდაობაში და 17-19 დეკემბერს კვიპროსში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

სკოლაში ახალგაზრდა სპორტსმენთან და მის პედაგოგთან შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც საუბარი იყო როგორც წარმატებების მიღწევის გზებსა და გამოწვევების გამკლავების შესახებ, ასევე ზოგადად ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე;

შეხვედრა გაიმართა სასკოლო პროექტის „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია“ ფარგლებში და მის ორგანიზებაში სკოლის თვითმმართველობის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ეკოკლუბისა და სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა.

ვულოცავთ გაგას და მის პედაგოგ კობა სვიანაძეს მორიგ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

15 დეკემბერი, 2021 · ქ. ბათუმში, 2021 წ. 11-14 დეკემბერს გამართულ კლასიკური მუსიკის მე - 14 საფესტივალო კვირეულზე ,,მომავლის ვარსკვლავები-ფესტივალიდან ფესტივალამდე" წარმატებულად წარმოჩინდა ანაბასისის მესვიდე კლასის მოსწავლე , ნორჩი პიანისტი, იოსებ ჩუბინიძე, რომელმაც სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი დავით მუქერია) შეასრულა საფორტეპიანო კონცერტები და მსმენელთა და პროფესიონალ მუსიკოსთა მოწონება დაიმსახურა.

15 დეკემბერი, 2021 · III ბ კლასი ბუნებისმეტყველებაში კომპლექსური დავალების "ყვავილოვანი მცენარეები" მეორე ეტაპზე გადავიდა. საკლასო ოთახი მინი ლაბორატორიად გადაკეთდა,სადაც მრავალფეროვანი ექსპერიმენტები წამოიწყეს პატარა მკვლევარებმა პედაგოგ შორენა მუმლაძესთან ერთად.

მოსწავლეებმა თეორიული ცოდნა პრაქტიკულადაც განიმტკიცეს. მცენარეთა ნიმუშებზე გაარჩიეს ფესვთა სისტემის სახეები და მცენარის სხვა ნაწილები. ექსპერიმენტებიც დაგეგმეს და იქვე დაიწყეს მათი განხორციელება.

შეიწოვს თუ არა წყალას ფესვი?

ატარებს თუ არა წყალს მცენარის ღერო?

ორთქლდება თუ არა ფოთლებიდან წყალი?

ამ კითხვებზე მათ არგუმენტირებული პასუხი გასცეს და მკვლევარები კომპლექსური დავალების მესამე ეტაპზე, დაუკვირდნენ ექსპერიმენტის შედეგებს,გააკეთეს ჩანიშვნები. მეოთხე ეტაპზე კი შეაჯამეს გაწეული მუშაობა და თანატოლებს გაუზიარეს. იმედია ,ისინი მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ ყოფაცხოვრებაში.

15 დეკემბერი, 2021 · სკოლა ანაბასისის მე-3 კლასის მოსწავლეებმა(კლასის ხელმძღვანელები: შორენა მუმლაძე და ლანა ჩუბინიძე) ბიბლიოთეკაში დიდი ინტერესით დაათვალიერეს წიგნადი ფონდი, ყურადღებით გაეცნენ ჩვენი მშობლიური ზესტაფონისა და ლიეტუვის ქალაქ ტაურაგეს მეგობრობის ამსახველ გამოფენას, მოიწონეს სკოლის მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები , ისაუბრეს თავიანთ საყვარელ წიგნებზე და დაინტერესდნენ ახალი ლიტერატურით.

23 დეკემბერი, 2021 · დამდეგი შობა-ახალი წელი ანაბასისი სკოლის IV ა კლასში საშობაო ზღაპრით აღნიშნეს. კალანდობა,ჩიჩილაკის მზის სხივები,გოზინაყი,ჩიჩილაკზე დაკიდული სურვილები და ნატვრა.

ეს ყველაფერი ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაცოცხლდა,გაცოცხლდა და გულში შეინახეს პატარებმა ეს სიყვარული ! მადლობა მუზეუმის დირექციას,ქ.ნინოს და თითოეულ თანამშრომელს. პედაგოგი თეა გურაბანიძე.

24 დეკემბერი, 2021 · ანაბასისის მეექვსე მეორე კლასის მოსწავლე ელენე შალამბერიძე გლობალურ კონფერენციაზე, ,, მოტივაციის და ჩართულობის სტრატეგიები" მუსიკალური პროგრამით წარსდგა. შეასრულა სიმღერა "Unstoppable" და პანტონიმა. მის გამოსვლას მიესალმა კონფერენციის ორგანიზატორები და მონაწილეები. გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათლად იგრძნობა ის დადებითი შეფასება რომელიც დაიმსახურა ელენემ შესრულებული აქტივობებით. მან ღირსეულად წარმოადგინა თავი და ქვეყანა! ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ მას!

25 დეკემბერი, 2021 · სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის მე-2ა კლასში -პედაგოგი ლოლიტა ნებიერიძე , დასრულდა კომპლექსური დავალება ბუნებისმეტყველებაში - სამიზნე ცნება: ორგანიზმის ზრდა განვითარება. ექსპერიმენტი. მოსწავლეები შეფასდნენ ეფექტური განმავითარებელი შეფასებით , რომელშიც ნათლად ჩანდა რა გააკეთეს მოსწავლეებმა კარგად, რა მიმართულებით ჭირდებათ უნარების გაუმჯობესება და როგორ მოხდება ეს პროცესი. პატარა მკვლევარებმა კარგად გაართვეს თავი კომპლექსური დავალების ყველა ეტაპს, ჩაატარეს ექსპერიმენტი, დაუკვიდნენ და გაანალიზეს მიღებული შედეგები, წარმოადგინეს კომიქსები, იმსჯელეს თანამიმდევრულად. სიღრმისეულად, დაამყარეს მიზეზ- შედეგობრივი კავშირი ექსპერიმენტის მიზანსა და შედეგებს შორის, საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეს მაგალითები ყოფა-ცხოვრებიდან მცენარეთა ზრდა -

განვითარებაზე. ისინი მზად არიან პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ მკვიდრი წარმოდგენები ორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე.

25 დეკემბერი, 2021 · პედაგოგ თეა მიქაბერიძის არაჩვეულებრივმა მოსწავლეებმა ძალიან თბილად, ლამაზად, სასიამოვნოდ მოგვილოცეს შობა ახალი წელი! დიდი მადლობა მათ! ბედნიერი და წარმატებული 2022!

24 დეკემბერი, 2021 · სკოლა ანაბასისის მე 4ა კლასის მოსწავლეებმა საყვარელი სკოლის სტუმრების წინაშე წარმოადგინეს ინგლისურენოვანი სპექტაკლი "ექსკალიბური". მადლობა პატარა მსახიობებს მონდომებისთვის და შესანიშნავი შესრულებისთვის! მათ შეეძლეს და სცენაზე გააცოცხლეს ლეგენდა მეფე არტურზე და მის ჯადოსნურ ხმალზე. ასევე მადლობა დამსწრე საზოგადოებას დადებითი შეფასებისთვის და სასიამოვნო ემოციების გაზიარებისთვის.

28 დეკემბერი, 2021 · სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის მე-3ა კლასში (პედაგოგი — ლანა ჩუბინიძე) დაიწყეს კომპლექსური დავალების განხორციელება ბუნებისმეტყველებაში. სამიზნე ცნება-ორგანიზმი.

ქვეცნებები: ცოცხალი სხეული, სხეულის ნაწილები ორგანო, განვითარება , ზრდა, ცოცხალ ორგანიზმთა ჯგუფები. მოსწავლეები გაეცვნენ კომპლექსური დავალების პირობას. განსახორციელებელი ეტაპების თანმიმდევრობას. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეებმა გაიხსენეს მცენარის თითოეული ნაწილის ფუნქცია და დანიშნულება, შექმნეს ნახატები, შეავსეს პოსტერი, რესურსებად გამოყენებული იქნა ყვავილოვანი მცენარეები, ინფორმაციის განსამტკიცებლად-ვიდეორგოლი. გაკვეთილის ბოლოს შეჯამდა და შეფასდა მათი ნამუშევრები , მოსწავლეები მოემზადნენ შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად, რომელიც ითვალისწინებს საკლასო ოთახის გადააქცევას მინი ლაბორატორიად, სადაც ექსპერიმენტებს ჩაატარებენ პატარა მკვლევარები. წარმატებებს ვუსურვებთ მათ!

30 დეკემბერი, 2021 · ოქროსფერი ნაძვის ხის ლამაზი ისტორია!

ანაბასისის მეოთხე კლასელებმა (კლასის ხელმძღვანელი თეა გურაბანიძე) სკოლას საჩუქრად გადაცეს ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული ნაძვის ხე . ოქროსფერი ნაძვის ხე გირჩებისგან არის დამზადებული! იდეა ერთი თვის წინ გაუჩნდათ. რომლის განხორციელებაში მშობლებიც აქტიურად ჩაერთვნენ . გირჩები შეაგროვეს, გამოაშრეს. ნაძვის ხის ჩონჩხის ნახაზი შექმნეს, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთმა მშობელმა ხისაგან ნაძვის ხის ჩონჩხი დაამზადა. ნაძვის ხის შემოსვა კი მთელი კლასის მონაწილეობით სკოლაში მოხდა. პირველ რიგში კარკასს მუყაო შემოავლეს, დაამაგრეს , შემდეგ მუყაოზე ლამაზი ჟოლოსფერი ქსოვილი დაამაგრეს. მერე კი.... მერე დაიწყო აქტიური პროცესი , იყო ჟრიამული, ხალისი, ყველა ბავშვმა ოცნება გირჩად ქცეული, ნაძვის ხის კარკასს დაამაგრა, ცარიელი ადგილები სათამაშოებით შეავსეს. ნაძვის ხის შემოსვას ორი დღე მოანდომეს ! არ იყო იოლი, ხშირად მიმაგრებული გირჩი ძირს ვარდებოდა, თუმცა ნიკოს დედიკო ყველა გირჩს ხანგრძლივად ამაგრებდა ძირს რომ არ ჩამოცვენილიყო, წებოს გაშრობას ელოდებოდა, ასე ნელ-ნელა იფურჩქნებოდა ნაძვის ხე ! იგი ოქოსფრად შეღებეს და სკოლის დერეფანში ამაყად გამოაბრძანეს! ოქროსფერი ნაძვის ხის ისტორიაც შექმნეს! ბევრი პრაქტიკული უნარი შეიძინეს კრეატიულმა მოზარდებმა! გირჩებში ჩამალულ სურვილებს კი სკოლის დამთავრების შემდეგ მოაკითხავენ! ოცნებების და სურვილების ასრულება ჩვენ მეოთხე კლასელებს,ანაბასისეებს,სრულიად საქართველოს და მსოფლიოს!

მომავალშიც ერთობლივი ძალისხმევითა და ჩვეული შემართებით შევძლებთ გამოწვევების ღირსეულად გამკლავებასა და საუკეთესო შედეგების მიღწევას .

გილოცავთ ახალ წელს, ფეხბედნიერი, ხვავიანი, წარმატებული და ახდენილი ოცნებების წელი ყოფილიყოს 2022 წელი !

აქამდეა პირველი სემესტრის ანგარიში,მერე იწყება მეორე სემესტრი,იყოს აქ ჯერჯერობით....

გაგრძელება იქნება

20 იანვარი ·

სკოლა ანაბასისი გლობალური განათლების ქსელის (GEN) მიერ ორგანიზებულ პროექტში ,,გლობალური საკლასო ოთახი"ჩაერთო 14 იანვარს,ინგლისურის პედაგოგ ნანა ფერაძესთან ერთად მოსწავლეებმა უცხოელ თანატოლებთან ერთად ონლაინ სემინარში მიიღეს მონაწილეობა. სადაც თავიანთი მოსაზრებები არგუმენტირებულად დაასაბუთეს ინგლისურ ენაზე .ყურადღება გაამახვილეს რამდენად მნიშვნელოვანია STEM? (STEM არის საერთო აბრევიატურა ოთხი მჭიდროდ დაკავშირებული კვლევის სფეროსთვის: მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) სკოლებმა უნდა შეუწყონ თუ არა ხელი STEM-ის განათლებას? მოსწავლეებს და მათი პედაგოგ ნანა ფერაძეს სერთიფიკატები გადაეცა სემინარში აქტიური ჩართვისათვის.წარმატებები მათ! პროექტი გრძელდება და ჩვენი მოსწავლეები ,,გლობალურ საკლასო ოთახში" ბევრ სასიამოვნო სიახლეს ელოდებიან

66. 21 იანვარი ·

სკოლა ანაბასისი გლობალური ონლაინ პროექტის "გაკვეთილი საზღვრების გარეშე", აქტივობებში აქტიურად არის ჩართული. 20 იანვარს გამართულ ვიდეო კონფერენციაში ანაბასისელმა მე-7 კლასელებმა ინგლისურის პადაგოგ ნანა ფერაძესთან ერთად მიიღეს მონაწილეობა. კონფერენცის თემატიკა იყო ,, ახალი წლის ტრადიციები ჩემს ქვეყანაში". მოსწავლეებმა მოისმინეს ვიეტნამელი და ინდოელი თანატოლების ქვეყნებში როგორ ხვდებიან ახალ წელს , ხოლო ქართულ საახალწლო ტრადიციებზე საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს: ელენე შალამბერიძემ , რევაზ კიკნაძემ , დავით გიგაშვილმა. პროექტში ჩართულობა არის შესანიშნავი შესაძლებლობა მოსწავლეებისთვის,რათა მიიღონ გამოცდილება, იურთიერთონ უცხოელ თანატოლებთან საერთაშორისო ენაზე და შეისწავლონ მსოფლიო კულტურა. მადლობა ინგლისურის პედაგოგ ნანა ფერაძეს და მოსწავლეებს აქტიური ჩართულობისთვის!

65. 16 თებერვალი ·

ბუნებისმტყველების გაკვეთილებზე ბავშვებს უამრავი კითხვა უჩნდებათ , რომელზეც არგუმენტირებული პასუხის მიღება მათ ინტერესს კიდევ უფრო აღრმავებს გარემომცველი გარემოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ერთ-ერთი კითხვა რომელიც ანაბასისელ მეორე კლასელებს გაუჩნდათ ჰაერს უკავშირდება. როგორ დავადგინოთ , რომ ჩვენს გარშემო ჰაერია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მასწავლებელმა ლოლიტა ნებიერიძემ მოსწავლეებს საინტერესო აქტივობა შესთავაზა. საკუთარი ხელით დაემზადებინათ ხელსაწყო , რომლის გამოყენებითაც საინტერესო კითხვებზე პასუხს მიიღებდნენ. ყველა მოსწავლემ გულმოდგინედ დაამზადა ,,ჯადოსნური" ხელსაწყო ტრიალა.ექსპერიმენტიც ხალისით განახორციელეს სკოლის ეზოში.

დაკვირვების შედეგად ბავშვებმა შეძლეს ეპასუხათ კითხვებზე:

-რა მოსდის ტრიალას ქარიან ამინდში?

-რა მოსდის ტრიალას სირბილის დროს?

-რატომ მოძრაობს ტრიალა?

-როგორ შეიძლება ოთახში ტრიალას ამოძრავება ხელის შეუხებლად?

- რა იწვევს ტრიალას მოძრაობას?

ექსპერიმენტით დაადგინეს, რომ ჩვენ გარშემო ჰაერი მოძრაობს,ეს მოძრაობა შეიძლება სხვადასხვა სიძლიერის იყოს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მოსწავლეებისათვის საინტერესო, სახალისო და შემეცნებითი იყო. მოსწავლეების კითხვები ამოუწურავია. ექსპერიმენტები , კვლევები..... მით უფრო მათი მონაწილეობით და აქტიური ჩართულობით მრავალ კითხვაზე აპოვნინებთ პასუხს! წარმატებები მოსწავლეებს ლოლიტა მასწავლებელთან ერთად!

64. 18 თებერვალი ·

სკოლა ანაბასისში სასკოლო პროექტის "ჯანსაღი ცხოვრება უალტერნატივოა" ფარგლებში მორიგი აქტივობა განხორციელდა.

ცხოვრების ჯანსაღი წესი არის ცხოვრების აქტიური კულტურული წესი, რომელიც უპირველეს ყოვლისა უკავშირდება ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ეს არის ადამიანის ქცევა მიმართული საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცების, დღეგრძელობის და სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვნად განხორციელებისაკენ.

პროექტის განხორციელების მიზანია სასკოლო საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა - ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურა მოსწავლეს უნდა დაეხმაროს თავიდან აირიდოს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება, გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების არსი (ზომიერება ყველაფერში, გაკაჟება, სწორი კვება, ცხოვრების რაციონალური რეჟიმი, რისკების თავიდან აცილება, მავნე ჩვევებზე უარის თქმა და სხვ.) და გაიაზროს მისი მნიშვნელობა;

პროექტის ამოცანებია:

მოსწავლეთათვის ჯანსაღი ჩვევების დაუფლება, გარესამყაროს უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესწავლა, მავნე ჩვევებზე (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე) უარის თქმა, ჯანმრთელი კვებისა და პროდუქტების ხარისხიანობისა და ნაადრევი ქორწინების უარყოფითი მხარეების შესახებ ინფორმირება, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვაზე ზრუნვა და და ფიზიკურად აქტიური ცხოვრების შესწავლა.

პროექტის ფარგლებში სამოქალაქო კლუბის და ეკოკლუბის წევრთა ინიციატივით სკოლაში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“-მდგრადი განვითარების მიზანი N3;

მოსწავლეებმა ისაუბრეს ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის აუცილებლობაზე, გადახედეს პანდემიების ისტორიას,საინტერესოდ იმსჯელეს ვაქცინაციის აუცილებლობაზე;

კლუბის წევრებმა გადაწყვიტეს კონფერენციაზე მიღებული ცოდნა გაავრცელონ სკოლის საზოგადოებასა და თემში, დაიგეგმა შემდგომი აქტივობა,საინფორმაციო ბროშურების დარიგება საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით.

კლუბის მეურვეები: ქეთევან ედიბერიძე, თამარ მალაღურაძე, თეა სამხარაძე;

63. 23 თებერვალი ·

სკოლა ანაბასისის ეკოკლუბელებმა მორიგი აქტივობა დაგეგმეს. მათ მეორე კლასელებს საინტერესო რესურსი შესთავაზეს , რომლის დახმარებითაც მათემატიკის გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნის განმტკიცება მოახდინეს. ეკოკლუბელმა ანასტასია ჯუღელმა გაიხსენა როგორ ისწავლა მამასთან ერთად შექმნილი რესურსით, თამაშ-თამაშით, ხალისით მეორე კლასში მათემატიკა და მეგობრებთან ერთად გადაწყვიტა მეორე კლასელებს დახმარებოდა მათემატიკური უნარების განვითარებაში. ეკოკლუბელმა მოდერატორებმა მონაწილეებს გააცნეს ინსტრუქცია: თამაშის დასაწყებად საჭიროა მოთამაშეები დაიყონ ჯგუფებად. თითო ჯგუფმა აირჩიოს სასურველი ფერის ფიგურა. იწყება თამაში. ერთი ჯგუფის მონაწილე აგორებს კამათელებს და მათზე ამოსული რიცხვების ჯამის ოდენობით გადაადგილდება სათამაშო დაფაზე. შეიძლება მოსწავლეებს შეხვდეთ “დავალებები” მაგალითად: +34 , ამ შემთხვევაში კამათელის ,,რიცხვს“ უნდა მიუმატონ 34 და მიღებული ჯამით გადასვას თავისი ჯგუფის ფიგურა

მიღებულ რიცხვზე. ასე ხდება ყველა ჯგუფთან. მოგებულია ჯგუფი რომელიც ყველაზე მალე "მივა" "ფინიშთან" ანუ ფერადი ფიგურა მოთავსდება უჯრაზე ,,100" ან გადასცდება ,,100"-ს. ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ გუნდებმა თამაში ორგანიზებულად დაიწყეს. თავი გაართვეს დავალებას, გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა პრაქტიკაში კარგად გამოიყენეს. გამარჯვებული გუნდიც გამოვლინდა. მაგრამ ყველა მოსწავლე თავს თვლიდა გამარჯვებულად, რადგან გამოავლინეს 100 -ის ფარგლებში მიმატების, გამოკლების, ზეპირი ანგარიშის კარგად განვითარებული უნარები. პედაგოგმა ლოლიტა ნებიერიძემ მადლობა გადაუხადა ეკოკლუბელებს საინტერესო და სახალისო აქტივობის შეთავაზებისათვის. აღნიშნა, რომ ფსიქოლოგების აზრით, თამაშის წილი ადამიანის წარმატებაში ძალიან დიდია, ვინაიდან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ, ისე ემოციურ და მოტორულ განვითარებასთან. თამაში ასევე ხელს უწყობს ბავშვებში ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე იყოს აქტუალური.

ბავშვები ივითარებენ ვერბალური და არავერბალური, მარტივი და კომპლექსური კომუნიკაციის უნარებს.

62.16 თებერვალი ·

ქალაქ გორში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში,სადაც ჩვენმა თანაქალაქელმა გაგა ჯუღელმა დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი და გახდა საქართველოს ნაკრების წევრი.

61. 24 თებერვალი ·

სკოლა ანაბასისი ახორციელებს სასკოლო პროექტს „ ჯანსაღი ცხოვრება უალტერნატივოა". აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებით სამოქალაქო განათლების კლუბის და ეკოკლუბის ხელმძღვანელობით გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წევრებს შორის, სადაც მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა სასკოლო საზოგადოების წინაშე წარადგინეს საინტერესო პრეზენტაციები ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ყურადღება დაეთმო თამბაქოს ,მარიხუანას მოხმარებას და სხვა მავნე ჩვევებზე დამოკიდებულებას.

მოსწავლეებმა საინტერესოდ ისაუბრეს ადიქციის შესახებ.

მდგრადი განვითარების მიზანი N3. ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის, ყველა ასაკში;

მოსწავლეებმა არგუმენტირებულად იმსჯელეს თავიანთ როლსა და ვალდებულებებზე ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისათვის.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენით მოსწავლეებმა საინტერესოდ გამოხატეს თავიანთი პოზიციები ადიქციასთან მიმართებაში და ისაუბრეს პრობლემის მოგვარების გზებსა და საშუალებებზე.

მოსწავლეებს პრეზენტაციის მომზადებით და სასკოლო საზოგადოების წინაშე წარდგენით განუვითარდათ პრევენციული და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების დასახვა განხორციელების უნარ-ჩვევები.

დაიგეგმა მოსწავლეებთან ამავე თემაზე საინფორმაციო შეხვედრების კვირეულის მოწყობა და მოსწავლეებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მავნე ჩვევებზე დამოკიდებულების უარყოფით მხარეებზე და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობაზე საუბარი, საინფორმაციო ბროშურების მომზადება და გავრცელება სკოლასა და თემში.

კლუბის მეურვეები თეა სამხარაძე,ქეთევან ედიბერიძე,თამარ მალაღურაძე.

60. 24 თებერვალი ·

სკოლა ანაბასისის სამოქალაქო განათლების და ეკოკლუბის წევრებმა საქართველოს პირველი კონსტიტუციის 101 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმეს და განახორციელეს პროექტი სახელწოდებით „გაიცანი შენი ქვეყნის კონსტიტუცია" .

პ რ ო ე ქ ტ ი ს მ ი ზ ა ნ ი ა :

• საზოგადოების ინფორმირებულობა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შესახებ და კონსტიტუციონალიზმის პოპულარიზაციის გაზრდის ხელშეწყობა სკოლასა და თემში.

• კონსტიტუციონალიზმის მნიშვნელობის გააზრება, როგორც დემოკრატიული საფუძვლების გამყარებისა და მისი ქმედითობის ერთ-ერთი მყარი საშუალება.

• სამართლებრივი კულტურის როლის გაანალიზება ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისთვის.

პირველ რიგში მოსწავლეებმა პროექტის ფარგლებში დაგეგმეს და წარმატებით განახორციელეს კვლევა, რომლის შედეგებიდან გაირკვა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას სურს მეტი ინფორმაცია მიიღოს საქართველოში კონსტიტუციონალიზმის ისტორიის შესახებ.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ითანამშრომლეს სამივე საფეხურის მოსწავლეებთან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მოისმინონ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პრეზენტაცია საქართველოში კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორიის შესახებ.

პროექტის პრეზენტაცია გაიმართა სკოლის სააქტო დარბაზში კორონავირუსის პრევენციის მიზნით მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით.

კლუბის მეურვეები თეა სამხარაძე,ქეთევან ედიბერიძე,თამარ მალაღურაძე.

59. 26 თებერვალი ·

25 თებერვალი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა. სწორედ 25 თებერვალს აიღო თბილისი რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ და დაასამარა ქართველთა ოცნება თავისუფლებაზე.

საქართველოს ტერიტორიების უმნიშვნელოვანესი ნაწილები კვლავ ოკუპირებულია. დღევანდელი დღე კიდევ ერთი ისტორიული დასტურია იმისა, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება საქართველოსათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს.

ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის და ეკოკლუბის წევრებმა დღეს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნას მიაგეს პატივი და სოლიდარობა გამოხატეს უკრაინელი ხალხის მიმართ!

დიდება საქართველოს!

დიდება და სოლიდარობა უკრაინას!

მშვიდობა მსოფლიოს!

58. Eka Jimshiashvili არის სკოლა ანაბასისი-თან ერთად.

2 მარტი ·

დამოუკიდებელი სკოლა ანაბასისის I ბ კლასის მოსწავლეები გაზაფხულის მობრძანებას სიხარულით ეგებებიან. თავიანთ სიხარულს დედიკოებსაც უზიარებენ და დედის დღეს ულოცავენ. პატარებმა წარმატებით განახორციელეს პროექტი

" ყველა სიკეთის დედაა ქალი, ქალი სიცოცხლის ჯადოქარია....." 💞

57. 3 მარტი ·

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებისა და სკოლა ანაბასისი ერთობლივი პროექტი უკრაინის მხარდასაჭერად. პროექტში " ჩვენ ვწერთ ისტორიას: დღეს მეც შენი შვილი ვარ უკრაინავ!" მონაწილეობა მიიღო მეოთხე ა კლსმა დამრიგებელი თეა გურაბანიძე. მათ დაგეგმილი აქტივობების გარდა მცირედი თანხაც გაიღეს უკრაინელი თანატოლების დასახმარებლად.

,, ომი ბარბაროსობაა,როდესაც მშვიდობიან მეზობელს თავს ესხმიან, მაგრამ ეს წმინდა მოვალეობაა, როდესაც სამშობლოს იცავ". ანაბასისი სკოლის 4ა კლასის განცდები, უახლესი

ისტორიის პატარა მემატიანეები...ნანახი, განცდილი, ნაფიქრალი... თანადგომა და სიყვარული უკრაინელ ბავშვებს, ხალხს...

,,სიყვარული ხომ გახუნებულსაც ალამაზებს“ თეა გურაბანიძე

56. 4 მარტი ·

ანაბასისის მე-4ა კლასში კომპლექსური დავალების ,,ხერხემლიანთა სამეფო"ერთ-ერთი ეტაპი განხორციელდა ბუნებისმეტყველებაში.პედაგოგი თეა გურაბანიძე. მოსწავლეებმა თავიანთი ნაშრომები კარგად და დამაჯერებლად წარმოადგინეს. პრეზენტაციებში ყურადღება გაამახვილეს შესწავლის ობიექტად შერჩეული ორგანიზმების სასიცოცხლო გარემოზე, მათ ზრდა , განვითარებაზე. თავიანთი ხედვა ნახატებშიც დააფიქსირეს. შეძენილი ცოდნის სიღრმე მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ინტერაქტიული ცხრილით წარმოჩინდა. წარმატებები მოსწავლეებს, პედაგოგთან ერთად!

55. 4 მარტი ·

ანაბასისის მე-6ბ კლასის მისწავლე ელენე შალამბერიძე გარემოს დაცვის არაერთ ღონისძიებაშია ჩართული. 3 მარტი მისთვის კიდევ ერთი წარმატების დღეა! იგი #21stdigiskillz გლობალური ბრენდის ამბასადორად (GBA) შერჩიეს!

21-ე DIGI Skillz-ის კომისიამ მიანიჭა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გლობალური ბრენდის Ambassador-ის წოდება, გამორჩეული გარემოსდაცვით ღონისძიებებისათვის ჯილდო 2022, მადლობისა და მონაწილეობის სერთიფიკატი, გლობალური საზოგადოების წევრობის სერთიფიკატი . მას მადლობის წერილით მიმართეს სადაც ნათქვამია:

,,გმადლობთ, რომ გაგვიზიარეთ თქვენი ცოდნა და მაქსიმალური წვლილი შეგაქვთ ჩვენი მისიის, UNSDG-ების, განსაკუთრებით SDG4-ის ხელშეწყობაში.

გაიცანით ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა ბრენდის ელჩი #ელენე შალამბრიძე #12 წლის საქართველოდან. მან დაიწყო კამპანია მდგრადი განვითარების N13 მიზნის შესრულებისათვის , განახორციელა პროექტი თავის რეგიონში დაბინძურების შესახებ. სურს ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას, მისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების N4 მიზანი!''

წარმატებები ელენეს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში!

მდგრადი განვითარების N 4 მიზანი- ხარისხიანი განათლება;

მდგრადი განვითარების N13 მიზანი კლიმატის მდგრადობის მიღწევა!

54. 7 მარტი ·

სკოლა ანაბასისის ეკოკლუბის და სამოქალაქო განათლების კლუბის წევრთა ინიციატივით , სკოლის დირექციის და მთელი სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით, მშობლების გვერდით დგომით და დახმარებით უკრაინელი თანატოლებისა და მათი ოჯახებისთვის წამოწყებულ საქველმოქმედო ჰუმანიტარულ აქციას ანაბასისელებიც შეუერთდნენ.

სკოლაში შეგროვებული ჰუმანიტარული დახმარება ანაბასისელებმა გამგეობაში არსებულ ცენტრში მიიტანეს, შეგროვებული თანხით კი სურსათ-სანოვაგე და ტკბილეულობა თავად მოსწავლეებმა შეარჩიეს თანატოლებისთვის პირველადი მოხმარების ნივთებთან ერთად, უკრაინაში გასაგზავნად თავად გაამზადეს ყუთები, რომელშიც თანატოლთა გასამხნევებლად სითბოთი და სიყვარულით სავსე წერილებიც ჩადეს და საქართველოს ფოსტის დახმარებით პირდაპირ უკრაინაში გაგზავნეს.

უღრმესი მადლობა თითოეულ მოსწავლეს და მათ მშობლებს გაწეული დახმარებისთვის!

53. პროექტი ,, არა პოლიეთილენს“ , სკოლა ანაბასისის მკვლევართა და ეკოლოგთა კლუბში განხორციელდა . იგი 2022 წლის ევროპის მეცნიერება სცენაზე ფესტივალის ნაწილია. რომელიც 24-27 მარტს პრაღაში იმართება. STEM მასწავლებლებისთვის ყველაზე დიდ ევროპულ საგანმანათლებლო გამოფენაზე 30-ზე მეტი ქვეყნიდან დაწყებითი და საშუალო სკოლის 350 მასწავლებელი გაერთიანდა,

რათა გაცვალონ საუკეთესო პრაქტიკის სწავლების კონცეფციები. ფესტივალზე პროექტს წარადგენს ქიმიის მასწავლებელი ქეთევან ედიბერიძე.

პროექტის სამიზნე ჯგუფია 13-16 წლის მოსწავლეები და მისი მიზანია სახამებლისგან ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიოპლასტმასის დამზადება, რომელიც პოლიეთილენის ნაცვლად შესაფუთ მასალად შეიძლება იქნას გამოყენებული..

სახამებლისგან მარტივად და იაფად შეიძლება დამზადდეს შესაფუთი მასალა, რომელიც არ ცვლის საკვებს გემოს, არ აშრობს ზედმეტად და ჰაერშეუღწევადია. ის ასევე ადვილად იშლება წყალით და ნიადაგში არსებული მიკროორგანიზმებით და ეკოლოგიურად უსაფრთხოა. პროექტის მონაწილეები ფიქრობენ , რომ მიღებული პროდუქტი სინთეზური მასალების ბიოპლასტიკით ჩანაცვლების ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალებაა.

52. 22 მარტი

21 მარტი ·

ქალაქ ზესტაფონის #2 საჯარო სკოლა

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა! ზესტაფონის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეების ორგანიზებით მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი ძალიან საინტერესო ღონისძიება:დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მხარდაჭერასთან და სოლიდარობასთან ერთად ბავშვებმა მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია კერძო სკოლა ანაბასისის, სკოლა ორნატისა და ქვედა საზანოს #1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად.მათ თავიანთი შექმნილი ხელნაკეთი ნივთები,სხვადასხვა აქსესუარები,სათამაშოები,წიგნები და ნახატები გამოიტანეს გასაყიდად.შეგროვებული თანხა გადაირიცხა უკრაინელი თანატოლების დასახმარებლად საქველმოქმედო ფონდში.ასევე დაასაჩუქრეს დღის ცენტრი - "ორიონის"აღსაზრდელები.

ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებით კიდევ უფრო გამყარდა სკოლებს შორის ურთიერთობა რაც მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

· 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა! ზესტაფონის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეების ორგანიზებით მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი ძალიან საინტერესო ღონისძიება:დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მხარდაჭერასთან და სოლიდარობასთან ერთად ბავშვებმა მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია კერძო სკოლა ანაბასისის, სკოლა ორნატისა და ქვედა საზანოს #1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად.მათ თავიანთი შექმნილი ხელნაკეთი ნივთები,სხვადასხვა აქსესუარები,სათამაშოები,წიგნები და ნახატები გამოიტანეს გასაყიდად.შეგროვებული თანხა გადაირიცხა უკრაინელი თანატოლების დასახმარებლად საქველმოქმედო ფონდში.ასევე დაასაჩუქრეს დღის ცენტრი - "ორიონის"აღსაზრდელები.

ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებით კიდევ უფრო გამყარდა სკოლებს შორის ურთიერთობა რაც მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

სკოლათაშორისი პროექტები ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, შესაძლებლობას იძლევა, სასწავლო აქტივობები დაუკავშირდეს ავთენტურ და ცხოვრებისეულ კონტექსტს, მოსწავლეებს განუვითაროს მაღალი დონის სააზროვნო უნარები, რათა მათ შეძლონ სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.

მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს საინტერესო შემოთავაზებისა და პარტნიორული ურთიერთობებისათვის!

 მზად ვართ მომავალში აქტიური თანამშრომლობისთვის ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ!

51. 24 მარტი ·

სკოლა ანაბასისის მერვე კლასში ისტორიის პედაგოგმა ნინო როინიშვილმა სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარების ჯგუფს დასაკვირვებლად წარუდგინა გაკვეთილი თემაზე: საქართველო და გარესამყარო XIV საუკუნეში (გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა).

გაკვეთილის მიზანი: მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები გაეცნობიან და იმსჯელებენ საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთობების შესახებ XIV საუკუნეში. შეძლებენ გააცნობიერონ ქართველი მეფეების (ამ კონკრეტულ სიტუაციაში გიორგი ბრწყინვალის) მიერ გარემომცველი დიდი სახელმწიფოების მიმართ გამოყენებული მოქნილი დიპლომატიის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, იმსჯელებენ იმაზე, თუ რა ხერხებით ცდილობდნენ ისინი დაპირისპირებულ მხარეებს შორის საკუთარი ინტერესების დაცვას. წერილობითი ისტორიული წყაროების გაანალიზებით და ისტორიულ რუკებზე მუშაობით უკეთ გაიაზრებენ შესასწავლ ისტორიულ ეპოქას.

მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების,ფაქტებისა და მოვლენების გააზრების, არგუმენტირებული მსჯელობის, რუკაზე მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები გაკვეთილის დასრულების შემდეგ შეხვდნენ პედაგოგს და მიაწოდეს უკუკავშირი.

50. 24 მარტი ·

სკოლა ანაბასისის მერვე კლასში ისტორიის პედაგოგმა ნინო როინიშვილმა სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარების ჯგუფს დასაკვირვებლად წარუდგინა გაკვეთილი თემაზე: საქართველო და გარესამყარო XIV საუკუნეში (გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა).

გაკვეთილის მიზანი: მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები გაეცნობიან და იმსჯელებენ საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთობების შესახებ XIV საუკუნეში. შეძლებენ გააცნობიერონ ქართველი მეფეების (ამ კონკრეტულ სიტუაციაში გიორგი ბრწყინვალის) მიერ გარემომცველი დიდი სახელმწიფოების მიმართ გამოყენებული მოქნილი დიპლომატიის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, იმსჯელებენ იმაზე, თუ რა ხერხებით ცდილობდნენ ისინი დაპირისპირებულ მხარეებს შორის საკუთარი ინტერესების დაცვას. წერილობითი ისტორიული წყაროების გაანალიზებით და ისტორიულ რუკებზე მუშაობით უკეთ გაიაზრებენ შესასწავლ ისტორიულ ეპოქას.

მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების,ფაქტებისა და მოვლენების გააზრების, არგუმენტირებული მსჯელობის, რუკაზე მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები გაკვეთილის დასრულების შემდეგ შეხვდნენ პედაგოგს და მიაწოდეს უკუკავშირი.

49. 24 მარტი ·

24 მარტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით 1982 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე.

ანაბასისის სამოქალაქო განათლების და ეკოკლუბის წევრებმა ანასტასია ჯუღელის ხელმძღვანელობით ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, განიხილეს საინტერესო ინფორმაცია ტუბერკულოზის ნიშნების და სტატისტიკური მონაცემების შესახებ;

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს სოციალური დაავადების (ტუბერკულოზი) მქონე ადამიანებისადმი საზოგადოების დანარჩენ წევრთა დამოკიდებულების შესახებ გააზრებული მსჯელობა და განივითარეს სოლიდარობის, თანაგრძნობის, ემპათიის, თანამშრომლობის, პრობლემის გააზრების და მისი მოგვარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;

კლუბის მეურვეები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხრაძე, თამარ მალაღურაძე;

48. 24 მარტი ·

ანაბასისის მერვე კლასში ბიოლოგიის პედაგოგმა თამარ მალაღურაძემ ჩაატარა ღია სამოდელო გაკვეთილი თემაზე: დაბალანსებული კვება.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ ერთმანეთისგან განასხვავონ საკვები პროდუქტის ენერგეტიკული და კვებითი ღირებულება; განმარტონ დაბალანსებული კვების შინაარსი; შეადარონ სხვადასხვა საკვები პროდუქტის ენერგეტიკული და კვებითი ღირებულებები; სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანებს შეუდგინონ საკვები რაციონი.

მოსწავლეებმა თავიანთ ნამუშევრებში საინტერესოდ ისაუბრეს დაბალანსებული კვების შესახებ.

გაკვეთილზე მონიტორინგს ახორციელებდა სკოლის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები გაკვეთილის დასრულების შემდეგ შეხვდნენ პედაგოგს და მიაწოდეს უკუკავშირი.

47. 24 მარტი ·

ეკოკლუბ ანაბასისის წევრებმა არაერთი აქტივობა დაგეგმა და განახორციელა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, თუმცა ამჯერად მე-6 კლასელების მონაწილეობით სემინარის ორგანიზატორები იყვნენ. უმცროსმა მეგობრებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს მავნე ჩვევები. მათ ყურადღება გაამახვილეს ალკოჰოლიზმსა და ნარკოდამოკიდებულებაზე, დამსწრე საზოგადოებას განუმარტეს თუ რა ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება.

მე-6 კლასის მოსწავლე, ბარბარე კაპანაძემ ისაუბრა ალკოჰოლიზმის შესახებ, კარგად წარმოაჩინა თუ რა ზეგავლენას ახდენს ალკოჰოლის ყოველდღიური გამოყენება და განმარტა დაავადება ციროზი - ღვიძლის დაზიანება. ასევე ახსნეს თუ რატომ ზიანდება ამ დროს ღვიძლი. ეს მისი ერთ-ერთი ფუნქციიდან - შხამიანი ნივთიერებების დეტოქსიკაციიდან გამომდინარეობს. ასევე განიხილეს ნარკოტიკების ზემოქმედებით გამოწვეული შედეგები, მათ ყურადღება გაამახვილეს თავის ტვინის დაზიანებაზე. ეკოკლუბელებმა მოისმინეს და მათთან ერთად კიდევ უფრო ფართოდ განიხილეს თემა - მავნე ჩვევები.

46. 24 მარტი ·

,,ვუთხრათ უარი პოლიეთილენს, გადავარჩინოთ სიცოცხლე''...

ეკოკლუბის წევრებმა საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ბროშურები დაამზადეს ,,ვუთხრათ უარი პოლიეთილენს გადავარჩინოთ სიცოცხლე".

წამის განმავლობაში მილიონზე მეტი პოლიეთილენის პარკი იყრება, რომელიც ბუნებაში 1000 წელზე მეტხანს რჩება. ეკოკლუბის განმარტებით დაახლოებით მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება წელიწადში პოლიეთილენის პარკების გადაყლაპვის გამო. ყოველწლიურად ოკეანეებში დაახლოებით 8 მილიონი ტონა პოლიეთილენის პარკი ჩადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ წუთში ეკოსისტემაში ერთი სატვირთო მანქანით სავსე პოლიეთილენი ხვდება. ანალიტიკოსების პროგნოზით 2030 წლისთვის ეს მოცულობა 2-ჯერ გაიზრდება, 2050 წლისთვის კი 4-ჯერ. შედეგად დაახლოებით 35 წელიწადში ოკეანეებში უფრო მეტი პოლიეთილენის პარკი იქნება, ვიდრე თევზი.

პოლიეთილენის წვა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მისი წვის დროს გამოიყოფა ტოქსინები, მავნე ნივთიერებები, რომელიც აბინძურებს ატმოსფეროს, ეს პროცესი ხელს უწყობს სათბურის ეფექტის შექმნას, რაც თავის მხრივ იწვევს კლიმატის გლობალურ ცვლილებას. ფაქტობრივად, პოლიეთილენი გვევლინება უკვდავი ნაგვის სახით, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას და ეკოგარემოს შენარჩუნებას აფერხებს.

ბროშურაში ასევე, ეკოკლუბელების მიერ დამზადებული ალტერნატიული შესაფუთი მასალის უპირატესობაზეც არის ყურადღება გამახვილებული, რომელიც მარტივად შეიძლება დამზადდეს და გამოყენებულ იქნას პროდუქტის შესაფუთად!

45. 24 მარტი ·

ველური ბუნების მსოფლიო დღე...

ბუნება ყოველდღიურად განიცდის დიდ და ნეგატიურ გავლენას ადამიანისაგან, როგორც წესი, შედეგი ხდება მცენარეთა და ცხოველთა სახეობების სრული გადაშენება. ფლორისა და ფაუნის სიკვდილისგან დაცვის მიზნით მუშავდება მარეგულირებელი დოკუმენტები, შემოღებულია შესაბამისი აკრძალვები და დგინდება თარიღები. ერთ-ერთი მათგანია 3 მარტი _ ველური ბუნების მსოფლიო დღე. ანაბასისის ეკოკლუბელებმა უმცროს კლასელებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, რომელზეც გააცნეს ინფორმაციები მათ ამ დღის დაარსების შესახებ, ანი კობერიძემ და ელენე მელაძემ აღნიშნეს, რომ ფლორისა და ფაუნის დაცვის სპეციალური დღის შექმნის იდეა საკმაოდ ცოტა ხნის წინ გაჩნდა - 2013 წელს. გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება ასეთი თარიღის დადგენის შესახებ. კონკრეტული დღისა და თარიღის არჩევისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ 1973 წლის 3 მარტს უკვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯი ბუნების შენარჩუნების მიზნით. შემდეგ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერეს კონვენციას ველური ბუნების და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, რომელსაც შემოკლებით CITES უწოდებენ. ეს თარიღი, ისევე როგორც მრავალი, რომელიც ეძღვნება ნებისმიერი ბუნებრივი რესურსების დაცვას, არის პროპაგანდისტული და საგანმანათლებლო. დღის მიზანია საზოგადოების ინფორმირება ველური ბუნების პრობლემების შესახებ და მისი კონსერვაციის მოთხოვნა. ველური ბუნების კონცეფცია სადავოა. კონკრეტულად რა უნდა ჩაითვალოს მას? მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი კამათი მიმდინარეობს. ზოგადი დასკვნა დაახლოებით ასეთია: უდაბნო არის მიწის ფართობი ან წყლის ობიექტი, სადაც ადამიანის ინტენსიური მოქმედება არ ხორციელდება, იდეალურ შემთხვევაში, ეს საქმიანობა, ისევე როგორც თავად ადამიანი, საერთოდ არ არის იქ. ცუდი ამბავი ის არის, რომ პლანეტაზე ასეთი ადგილები სულ უფრო და უფრო მცირდება, ამის გამო ირღვევა მრავალი მცენარის და ცხოველის ბუნებრივი ჰაბიტატი, რაც მათ სიკვდილს იწვევს. რადგან ასეთი ადგილები მცირეა ეკოკლუბელმა ანასტასია ჯუღელმა უმცროს მეგობრებს ინგლისურ ენაზე წინასწარ შერჩეული ანიმაციური ფილმი უჩვენა ,,ჯუნგლები'', მოსწავლეებმა ტერმინი ველური ბუნებაც კარგად გაიაზრეს, მისი დაცვის აუცილებლობაც და ინგლისური ენის ლექსიკური მარაგიც გაიმდიდრეს.

44. 24 მარტი ·

''ენერგიის ალტერნატიული წყაროები''

სკოლა ანაბასისის ეკოკლუბის წევრებმა ჩაატარეს სემინარი სკოლის მოსწავლეებისათვის ''ენერგიის ალტერნატიული წყაროები''. სემინარზე საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს ეკოკლუბელებმა ქეთი ცერცვაძემ, ანასტასია ჯურელმა და ანი კობერიძემ.

მათ აღმიშნეს, რომ მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნა ენერგიაზე. მართლაც, ჩვენი ყოველდღიურობა უკვე წარმოუდგენელია ელექტრონული მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, ინტერნეტის თუ კომფორტულად მოწყობილი საცხოვრებელი სახლების გარეშე, რომელთა ფუნქციონირებისათვის უზარმაზარი ენერგიაა საჭირო, განსაკუტრებით იმ ფონზე, როდესაც მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად მათზე მოტხოვნა განუწყვეტლივ იზრდება.

წყარო უნდა იყოს განახლებადი, ნაკლებად აბინძურებდეს გარემოს, რაც მთავარია, აგვარებდეს საწვავის პრობლემას, ამიტომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გარემოსდაცვითი და ამოწურვადი რესურსების შენარჩუნების მიზნით დიდ ყურადღებას აქცევს მზის, ქარის, წყლის, გეოთერმული ენერგიის გამოყენებას.

43. 24 მარტი ·

"შეხვედრა გლობალური ბრენდის ამბასადორთან!"...

სკოლა ანაბასისის ეკოკლუბის წევრების ორგანიზებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მოიწვიეს სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ელენე შალამბერიძე. ელენე შალამბერიძე გარემოს დაცვის არაერთ ღონისძიებაშია ჩართული. 3 მარტი მისთვის კიდევ ერთი წარმატების დღეა! იგი #21stdigiskillz გლობალური ბრენდის ამბასადორად(GBA) შეარჩიეს.

21-ე DIGI Skillz-ის კომისიამ მიანიჭა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გლობალური ბრენდის Ambassador-ის წოდება, გამორჩეული გარემოსდაცვით ღონისძიებებისათვის ჯილდო 2022, მადლობისა და მონაწილეობის სერთიფიკატი, გლობალური საზოგადოების წევრობის სერთიფიკატი. მას მადლობის წერილით მიმართეს სადაც ნათქვამია: ,,გმადლობთ, რომ გაგვიზიარეთ თქვენი ცოდნა და მაქსიმალური წვლილი შეგაქვთ ჩვენი მისიის, UNSDG-ების, განსაკუთრებით SDG4-ის ხელშეწყობაში.

გაიცანით ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა ბრენდის ელჩი #ელენე შალამბერიძე #12 წლის საქართველოდან. მან დაიწყო კამპანია მდგრადი განვითარების N13 მიზნის შესრულებისათვის, განახორციელა პროექტი თავის რეგიონში დაბინძურების შესახებ. სურს ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას, მისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების N14 მიზანი!"

წარმატებები ელენეს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში!

ელენე ესაუბრა ანაბასისელ თანატოლებს, ეკოკლუბელებს თავისი საქმიანობის შესახებ, უპასუხა მათ შეკითხვებს და სკოლაში მოქმედ ეკოკლუბთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა

42. 24 მარტი ·

,,გახადე შენი სკოლა ენერგოეფექტური''...

ანაბასისის ეკოკლუბელებმა მორიგი შეხვედრა ცნობარ ,,გახადე შენი სკოლა ენერგოეფექტური'' განხილვას მიუძღვნა. ტერმინმა ,,ენერგოეფექტურობა'' თითოეული მათგანისათვის ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა.გაიაზრეს რომ ენერგოეფექტიანობა გულისხმობს ნაკლები ენერგიის გამოყენებით იგივე ან უკეთესი პირობებისა და კომფორტის შექმნას. მით უფრო ენერგოეფექტურობა გლობალური საკითხია, რომელიც დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. ეს გამოწვეულია ენერგიის დეფიციტით, ენერგორესურსებზე მზარდი ფასებით, ენერგოიმპორტზე დამოკიდებულებითა და ეკოლიგიური პრობლემებით. მათთვის ერთგვარი სლოგანი აღმოჩნდა ,,განათლება ენერგიის შესახებ ხელს უწყობს ენერგოეფექტიანობას!'' რადგან იგი გვასწავლის ისეთი ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც ხარჯავენ ნაკლებ ენერგიას, საშუალებას იძლევა შესწავლილი და განვითარებული იქნას მდგრადი და განვითარებადი ენერგიის რესურსები. საქართველოს არ აქვს ნავთობისა და გაზის დიდი რესურსები და ენერგიის დაახლოებით 75% იმპორტირებულია. ამიტომ ენერგოეფექტურუ პროექტების მხარდაჭერით შემცირდება ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტზე, გაუმჯობესდება ენერგიის უსაფრთხოების დონე და შემცირდება გარემოზე უარყოფითი გავლენა. ეკოკლუბელებმა ცნობარში შემოთავაზებული ყველა აქტივობის იდეა გაანალიზეს თავიანთი ინტერესები, შესაძლებლობები შეაფასეს და თავიანთ სამოქმედო გეგმაში შეიტანეს რამდენიმე აქტივობის განხორციელება. 1. მოაწყონ სემინარი თანატოლებისათვის ,,ენერგიის ალტერნატიული წყაროები''. 2. დაამზადონ და გაავრცელონ ბუკლეტები, სადაც იქნება სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები ენერგოდაზოგვისათვის სახლის პირობებში. 3. წამოიწყონ კამპანია ,,დაზოგეთ ენერგია, დაზოგეთ ოჯახის ბიუჯეტი''. 4. მოაწყონ ვიქტორინა უფროსკლასელებისათვის:,,ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია''.

41. 24 მარტი ·

ვასწავლოთ თამაშით ინგლისური ენა უმცროს მეგობრებს!...

ინგლისური ენა სკოლა ანაბასისში პრიორიტეტულია. მისი შესწავლა პირველი კლასიდანვე ხდება. დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პრიორიტეტული მიზნებია: -მოსწავლის ენობრივი ცნობიერების ამაღლება; -ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება; - ენის სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება. დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი ამოცანაა თითოეული მოსწავლის მოტივაციის ამაღლება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ უცხოური ენის სწავლის პროცესი. ენის შესწავლას სიძნელეები ახლავს თან. პატარებს უჭირთ სახლში დამოუკიდებლად მუშაობა. ეკოკლუბ ,,ანაბასისის'' წევრებმა გადაწყვიტეს დაეხმარონ უმცროს მეგობრებს ენის შესწავლაში. მათ ყველაზე უკეთ იციან კონკრეტულად სად და რა უჭირთ პატარებს ინგლისური ენის შესწავლის ამ ეტაპზე. ეს პერიოდი მათ უკვე გავლილი აქვთ. მათ გადაწყვიტეს უცხოური ენის სწავლების ოთხი მიმართულებიდან დაეწყოთ ერთ-ერთზე მუშაობა - ზეპირი მეტყველება(მოსმენა და ლაპარალი), ზეპირი

მეტყველება აერთიანებს ორ სამეტყველო აქტივობას(მოსმენას/მოსმენა-ყურებასა და ლაპარაკს) და ამ სამეტყველო აქტივობათა თანმხლებ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეს უადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას. ამ ეტაპზე მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ არხს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ეკოკლუბელებმა კონსულტაცია გაიარეს როგორც თავის ინგლისურის პედაგოგ ეკატერინე ჩაჩიბაიასთან, ასევე დაწყებითი კლასების ინგლისურის პედაგოგ სალომე კაკაურიძესთან. რესურსად აირჩიეს რამდენიმე წუთიანი ინგლისურ ტიტრიანი კომიქსები. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას; უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილებას, რაც აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად. რადგან ტექსტებს ახლდა თვალსაჩინო მასალა მოსწავლეებს გაუადვილდათ ტექსტის გაგება. შეხვედრა იყო პროდუქტიული როგორც მესამე კლასელებისათვის, რადგან მათი ლექსიკური მარაგი ინგლისურ ენაში გამდიდრდა, ასევე ეკოკლუბელებისათვის, მათ კარგად მოირგეს ,,მასწავლებლის'' როლი, იმუშავეს საჭირო უნარების გამოსამუშავებლად, მოახდინეს საკუთარი ძალების შეფასება. დაიგეგმა შემდგომი შეხვედრები დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან ინგლისური ენის ზეპირ მეტყველების გაუმჯობესების მიმართულებით.

40. 24 მარტი ·

,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა''...

სკოლა ანაბასისის ეკოლოგთა კლუბი ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მონაწილეებისთვის გამოცხადებულ კონკურსში ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა'' ჩაერთო.

წყალი დედამიწაზე სიცოცხლის მთავარი წყაროა, რომელიც სხეულის დიდ ნაწილს შეადგენს. წყლის დაბინძურება მთლიანად სიცოცხლის დაბინძურებაა.

სუფთა წყალი დედამიწაზე სიცოცხლის გასაგრძელებლად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. სიცოცხლის დასაცავად წყლის დაცვა აუცილებელია და ეს მთავარი პასუხისმგებლობაა.

ეკოკლუბის წევრებმა და მკვლევართა კლუბმა წყლის კვლევა მოახდინეს. გამოიყენეს ,,სკოლის შეფასების კითხვარი'', მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას თხოვნით. მიიღეს ნებართვა და დაიწყეს მოკვლევა რა სახის წყალი მოიხმარება სკოლაში, გამოიყენება თუ არა რეზერვუარის წყალი და არის თუ არა რეზერვუარი სათანადოდ დახურული, რისთვის გამოიყენება სკოლაში არსებული წყალი, კვირაში რამდენი დღე და დღეში რამდენი საათი ფუნქციონირებს წყლის მიწოდება. როდესაც წყლის მიწოდების წყარო ფუნქციონირებს, თუ მიეწოდება საკმარისი წყალი სკოლას სასმელად, ხელების დასაბანად და საჭმლის მოსამზადებლად, თუ წარმოებს სკოლაში არსებული წყლის გაწმენდა რაიმეს საშუალებით, რათა გახდეს ის სასმელად უსაფრთხო. თუ წყალი ყოველთვის არ იწმინდება, რატომ. თუ ხდება სკოლაში წყლის გაწმენდა დალევის წინ და როგორ. თუ მოაქვთ ბავშვებს წყალი დასალევად და სხვა ძალიან მნიშვნელოვანი კითხვები დაუსვეს კლუბის წევრებმა თავიანთ რესპოდენტებს სკოლის ფინანსურ დირექტორს, სამნეო ნაწილის გამგეს, სკოლის სამზარეულოს თანამშრომლებს. ჩაინიშნეს მიღებული პასუხები. დაათვალიერეს სასმელი წყლის წერტილები სკოლის შენობაში, სკოლის გარეთ, ეზოში, სველი წერტილები ტუალეტებში. მიღებულ მონაცემებს კლუბის წევრები დაამუშავებენ, გაანალიზებენ და სასკოლო საზოგადოებას გააცნობენ.

39. 24 მარტი ·

,,წყალი სიცოცხლეა! - გავუფრთხილდეთ მას!"...

6 დეკემბერს ეკოკლუბ "ანაბასისის" მიერ ორგანიზებულ იქნა კონფერენცია სლოგანით ,,წყალი სიცოცხლეა!"- გავუფრთხილდეთ მას!" კონფერენციაზე საინტერესო პროექტები წარმოადგინეს კლუბის წევრმა ელენე მელაძემ, რომელმაც თანატოლებს მიაწოდა ინფორმაცია წყლის მნიშვნელობაზე ადამიანისათვის და ზოგადად ბიოსისტემისათვის, მაგრამ საგანგაშო მდგომარეობაა. წყლის რესურსების გლობალური კრიზისი საკმაოდ ძლიერდება, როგორ შეიძლება ვიცხოვროთ უწყლოდ? როდესაც ტერიტორიაზე შრება წყალი, ადამიანთა უმეტესობას წასვლა მოუწევს. მან მოიტანა ფაქტები მსოფლიოს

სხვადასხვა ქვეყანაში სად არის წყლის რესურსები ყველაზე მეტად დაბინძურებული. საქართველოში არსებული სიტუაციაც მიმოიხილა, რომელიც ნამდვილად არ არის დამამშვიდებელი. კლუბის წევრი ქეთი ცერცვაძე თავის პრეზენტაციაში იმ საკანონმდებლო ცვლილებებს შეეხო, რომელიც საქართველოში იქნა მიღებული წყლის დაცვასთან დაკავშირებით. მათი შესრულება შეიძლება იყოს საქართველოს წყლის რესურსების მართვის სექტორისთვის დამახასიათებელი სერიოზული პრობლემების მოგვარების შესაძლო გზა, რომელთაგან უმთავრესი წყლის დაბინძურება და წყლის რესურსების არაეფექტური გამოყენებაა. ამასთანავე კიდევ არ არის გაცნობიერებული წყლის რესურსების მართვის გამართული სისტემის არსებობის მნიშვნელობა. თუმცა წყლის ხარისხი და წყლის ხელმისაწვდომობა ახლო მომავალში ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდება. კლუბის წევრმა ანასტასია ჯაფარიძემ ისაუბრა იმ სავალალო შედეგებზე, რომელიც წყლის დაბინძურებამ გამოიწვიოს. ასევე აღნიშნა, რომ ჩვენთვის მოწოდებული წყლის ხარისხზე კონტროლი ისევე გასაიდუმლოებულია, როგორც ბევრი სხვა რამ. ადრე ეს ინფორმაცია ქვეყნდებოდა და გვქონდა საშუალება, გაგვეგო, თუ როგორი ხარისხის წყალს ვიღებდით. დღეს ეს თემაც დახურულია. ვინ ამოწმებს სასმელი წყლის ხარისხს, როგორ და რანაირად, ინფორმაცია არ არის. 18 სექტემბერი წყლის მონიტორინგის დღეა. მისი დაწესება კიდევ ერთხელ ცხადყოფს რამდენად მნიშვნელოვანია წყლის ხარისხზე კონტროლი. კონფერენცია ინტერაქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა. დაიგეგმა: ჩატარდეს სკოლის მოსწავლეების გამოკითხვა წყლის რესურსის მიზნობრივ და ეკონომიურ გამოყენებაზე, მოეწყო ექსკურსია,(რეგულაციების წესების დაცვით) ქალაქის წყალსადენ სადგურში, რათა ადგილზე გაეცნონ მოსწავლეები, როგორ ხდება წყლის გასუფთავება და სასმელად მიწოდება მოსახლეობისთვის. კონფერენცია შეაჯამეს კლუბის ლიდერმა პედაგოგებმა.

38. 24 მარტი ·

შესაფუთი მასალა სახამებლიდან...

შესაფუთი მასალა სახამებლიდან!

ყველაზე დიდი რაოდენობით პოლიეთილენი შესაფუთ მასალად გამოიყენება. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც მკვლევართა კლუბის წევრებიც არიან და ეკოკლუბის წევრებიც პროექტის ,,არა პოლიეთილენს'' განხორციელება დაიწყეს. პლასტმასები ეს ბუნების თანამედროვე უბედურებაა, სკოლაში მოქმედმა მკვლევართა კლუბმა გასულ წელს დაიწყო ბიოდაშლადი თვისებების მქონე შესაფუთ მასალებზე ფიქრი. ახლა კი მათ ეკოკლუბიც შეუერთდა, მით უფრო რამდენიმე მოსწავლე ორივე კლუბის წევრია.

პროექტის მონაწილეები გაეცვნენ ბიოპლასტმასების მიღების ისტორიას, წარმოებას. ბიოპლასტმასების მიღების ისტორიასთან ერთად, გაითვალისწინეს ჩურჩხელებისა და ტკბილიკვერის დამზადების ქართული ტრადიციული გამოცდილება, შესაფუთი მასალის დასამზადებლად გამოიყენეს სახამებელი, წყალი, გლიცერინი, სუფრის ძმარი ან ლიმონჟავა, საკვები საღებავები. მოცემული ინგრედიენტების ერთობლიობამ მაღალ ტემპერატურაზე მოახდინა სახამებლის მოდიფიცირება. მიღებული მასალიდან დამზადებული შესაფუთი ,,აფსკები''- ბიოპლასტმასებით სინთეზური მასალის შეცვლის ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალებაა.

37. 24 მარტი ·

''ეს თქვენ პოლიეთილენის ბოთლისათვის!''...

,,ეს თქვენ პოლიეთილენის ბოთლისათვის!''

ეკოკლუბ ანაბასისის წევრები N12 მიზანს გაეცვნენ. მდგრადი მოხმარება გულისხმობს სერვისებისა და შესაბამისი პროდუქტების ისეთ გამოყენებას, რომელიც პასუხობს საბაზისო საჭიროებებს და რომელიც ადამიანთა სიცოცხლის ხარისხს აუმჯობესებს.

ეკოკლუბის წევრების მიერ მე-6 კლასის მოსწავლეებთან სემინარის ჩატარება პოლიეთილენის უარყოფითი გავლენის შესახებ ერთგვარი ინსპირაცია აღმოჩნდა. პოლიეთილენის უკვე გამოყენებული ნივთებიდან ბოთლებიდან, თეფშებიდან, ჭიქებიდან მე-6 კლასელებმა სხვადასხვა ნივთები დაამზადეს და ნაგავსაყრელის ნაცვლვლად მათმა ნაკეთობებმა საკლასო ოთახები გაალამაზეს. მოსწავლეებს

თავიანთი შემოქმედება იმდენად მოეწონათ, რომ გადაწყვიტეს წამოიწყონ აქცია სკოლის მოსწავლეებისათვის და არა მარტო მათთვის, "ეს თქვენ პოლიეთილენის ბოთლისათვის!", რაც ითვალისწინებს, ყველას ვინც მათ პოლიეთილენის ბოთლს მიუტანს საჩუქრად გადასცენ თავიანთი დამზადებული აქსესუარები. ეს ხელს შეუწყობს პოლიეთილენის ბოთლების მდგრად მოხმარებას და მცირეოდენ წვლილს შეიტანს გარემოს ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებაში.

36. 24 მარტი ·

ჩვენი თბილი მასპინძლები!

სამოქალაქო განათლების და ეკოკლუბის წევრებმა გადაწყვიტეს ზესტაფონში არსებულ დღის ცენტრში მორიგი ვიზიტი განეხორციელებინათ. მათ ცენტრში გულთბილად დახვდათ ორიონის დამფუძნებელი ქალბატონი ჟანა ფერაძე, რომელმაც სტუმრებს გულთბილად უმასპინძლა. ცენტრი ზესტაფონში 2004 წლიდან არსებობს. ბევრი პრობლემისა და წინააღმდეგობის მიუხედავად იგი დღეს ერთ-ერთი მძლავრი ცენტრია რეგიონში, არაერთი პროექტის გამარჯვებულია, კარგად აღჭურვილი ინფრასტრუქტურით. საქმის პროფესიონალი და ენთუზიაზმით სავსე მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული გუნდი, თავის აღსაზრდელებს აკადემიური უნარების გარდა პროფესიულ უნარებსაც უვითარებს, აქ მათ პოლონელი ტრენერებისაგან გადამზადებული მაღალკვალიფიციური მასწავლებლები უტარებენ ისეთ თერაპიებს, როგორიცაა თომატის თერაპია და ბიოფიტბექი, ფუნქციონირებს ,,სამყაროს გამოცდილების ოთახი".

სტუმრებმა ქალბატონ ჟანასთან ერთად კიდევ ერთხელ დიდი ინტერესით იმოგზაურეს მშვენიერ სამყაროში, სადაც გამოფენილია ბავშვების ფანტაზიითა და ხელით შექმნილი საოცარი ნაკეთობები. თანატოლების ვიზიტმა და მათი ხელთნაკეთი ნივთების საჩუქრად გადაცემამ გაახარა მასპინძლები, დაიგეგმა მომავალი ვიზიტი ორიონში. სითბო და სიყვარული უხვად გამოატანეს ორიონელებმა! მადლობა მათ გულთბილი მასპინძლობისათვის.

კლუბის მეურვეები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე, თამარ მალაღურაძე.

35. 3 აპრილი ·

25 მარტს ანაბასისელები ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის დრამატულ თეატრს ესტუმრნენ , სადაც მორიგი პრემიერა გაიმართა, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების „ნუ გააღვიძებ“ მიხედვით. სპექტაკლმა მოსწავლეებზე უდიდესი გავლენა მოახდინა და ბევრ საკითხზე დააფიქრა ისინი.

სპექტაკლისგან მიღებული შთაბეჭდილებები და ემოციები ახალგაზრდებმა კულტურისა და დასვენების ბაღში გამართულ შეხვედრაზე გაუზიარეს ერთმანეთს.

მადლობა უშანგი ჩხეიძის სახელობის დრამატულ თეატრს საინტერესო წარმოდგენისთვის.

34. 3 აპრილი ·

2022 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან - 83, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებიდან კი 31 წელი გავიდა.

ანაბასისელებმა დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის და ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ეროვნული გმირის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს.

მოსწავლეებმა ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვის შემდეგ დისკუსია მოაწყვეს, სადაც ისაუბრეს ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის როლსა და დამსახურებაზე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იმსჯელეს 1991 წლის რეფერენდუმის მნიშვნელობაზე.

31 მარტი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა. 31 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი, რომლის შედეგების საფუძველზე უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და გაათავისუფლა საქართველო 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაციიდან. შემთხვევით არ არის, რომ

კონსტიტუციით დაცული საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი სწორედ 31 მარტის რეფერენდუმს ეყრდნობა.

33. 4 აპრილი ·

ყ ურ ა დ ღ ე ბ ა !

"ტვინების ბრძოლა" იწყება!

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას, დარეგისტრირდით და ინდივიდუალურად ითამაშეთ ინტელექტუალური თამაში!

შეკითხვების შემთხვევაში მომართეთ დირექციას!

ინტელექტუალური პროექტების ორგანიზატორი კომპანია „ბრეინსი“ ატარებს ოლიმპიადას სკოლის მოსწავლეებისთვის.

კომპანიის პირველი გუნდური ინტელექტუალური თამაში, „ტვინების ბრძოლა“, სკოლის მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს;

ამჯერად კი მოსწავლეებს ინდივიდუალურ შეჯიბრს ვთავაზობთ.

ოლიმპიადის პირველი ეტაპი ონლაინ-ვიქტორინაა და მასში ჩართვა 7 აპრილის ჩათვლით არის შესაძლებელი. ონლაინ-ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლემ უნდა გაიაროს

რეგისტრაცია საიტზე brains.ge

მონაწილეობის მიღება უფასოა. მეორე ტურში გადასასვლელად, მონაწილემ უნდა დაძლიოს 30%-იანი ბარიერი.

წარმატებული მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.

ტესტის მაქსიმალური ქულა არის 80.

ოლიმპიადის უნიკალური პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ტესტში არსებული თითოეული დავალების დაძლევა ერთზე მეტი გზითაა შესაძლებელი. თუ მოსწავლეს არ აქვს ფაქტობრივი ცოდნა კონკრეტული საკითხის ირგვლივ, მას შეუძლია, ალტერნატიული ამოხსნის გზითა და ლოგიკური აზროვნებით მივიდეს პასუხამდე. ქულის მოპოვება ორივე შემთხვევაშია შესაძლებელი. ქულით ფასდება არამხოლოდ პასუხი, არამედ ამოხსნის გზაც. მოსწავლეს თითოეული დავალების დასაძლევად შეიძლება დასჭირდეს ერთზე მეტი საგნის ცოდნა. ტესტში წარმოდგენილი დავალებები აერთიანებს რამდენიმე საგანს:

ქართული ენა და ლიტერატურა;

მათემატიკა;

ინგლისური ენა;

ზოგადი განათლება და ლოგიკური აზროვნება.

თითოეული კლასის ტესტში წარმოდგენილი დავალებები ეფუძნება ამავე კლასის სასკოლო პროგრამულ მასალას და გათვლილია მოსწავლის ასაკზე. ტესტის დაძლევა მოითხოვს როგორც პროგრამულ ცოდნას, ისე ზოგად განათლებას; თითოეული დავალება შეიცავს დამატებით ინფორმაციას, რომელიც მონაწილეებს ცოდნას გაუღრმავებს დავალების საკითხთან დაკავშირებით.

სარეგისტრაციო ბმული

ოლიმპიადის წესები

Online საგამოცდო ოთახი

32. 4 აპრილი ·

2 აპრილი ,,აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა"- ეს დღე აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღედ 2007 წლის 18 დეკემბერს გამოაცხდა გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ, რასაც ერთხმად შეუერთდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა ეკოკლუბის წევრებთან ერთად სასკოლო პროექტის „ჯანსაღი ცხოვრება უალტერნატივოა " ფარგლებში, საზოგადოების ინფორმირებულობისა და აუტიზმის ცნობადობის ამაღლების კუთხით მოამზადეს და გაავრცელეს საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები. მომზადდა საინფორმაციო გაზეთი და გამოიკრა კლუბის საინფორმაციო კედელზე.

31. 8 აპრილი ·

სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ინგლისურის წამყვანი მასწავლებლის ეკატერინე ჩაჩიბაიას მიერ მე-6 კლასში ჩატარებულ გაკვეთილს დაუკვირდა და შეაფასა. სამიზნე ცნება ზეპირი კომუნიკაცია, მიზანი : მოსწავლეების მიერ პრეზენტაციის შექმნა და მოხსენების წაროდგენა პოსტერის საშუალებით. გაკვეთილზე განხორციელდა კომპლექსური დავალების ,, დედამიწის დღე" ერთ-ერთი ეტაპი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ოთხი საინტერესო პოსტერი , რომლებშიც პასუხები გასცეს კითხვებზე, რა არის დედამიწის დღე, როდიდან აღინიშნება, რატომ არის მნიშვნელოვანი მისი აღნიშვნა, როგორ და რა მეთოდებით გავხადოთ ყოველი დღე დედამიწის დღე, რა არის გარემოს დაბინძურების მიზეზები და პრობლემების გადაჭრა რა გზებით შეიძლება. თავიანთ მოსაზრებებს არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ ინგლისურ ენაზე გამოიყენეს ნასწავლი ლექსიკა და გრამატიკა, ზეპირმეტყველების არავერბალური კომუნიკაციის ხერხები, ინტონაცია, მახვილი, პაუზა, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი. გაკვეთილის ბოლო ეტაპზე მოსწავლეებმა სკოლის ეზოში დარგეს მარადმწვანე ხე მცენარე, რომლის დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე თავად იზრუნებენ. წარმატებები მასწავლებელს და მოსწავლეებს.

30. 8 აპრილი ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა. 7აპრილი

ჯანმრთელობის მსოფლიო დღის აღნიშვნა უკავშირდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების თარიღს - 1948 წლის 7 აპრილს.

ყოველ წელს, ამ დღეს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია უძღვნის ერთ კონკრეტულ თემას და ცდილობს ამ თემის შესახებ ცნობიერების ამაღლებას

ამჟამინდელი პანდემიის, დაბინძურებული პლანეტისა და დაავადებების მზარდი სიხშირის პირობებში, 2022 წლის ჯანმრთელობის მსოფლიო დღის თემაა ჩვენი პლანეტა, ჩვენი ჯანმრთელობა.ეს მოწოდება წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას მწვანე და ჯანსაღი საფარის აღდგენისთვის, COVID-19 პანდემიასთან ბრძოლისათვის , რომელიც ინდივიდებისა და პლანეტის ჯანმრთელობას აყენებს საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

სკოლის ეკოკლუბისა და სამოქალაქო კლუბების ინიციატივით მოსწავლეთა საზოგადოებას ეწვია ზეტაფონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრის მთავარი ეპიდემიოლოგი თინათინ ფორჩხიძე, რომელიც მოსწავლეებს ჯანმრთელობასა და ვაქცინაციაციის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

ყოველწლიურად ვაქცინებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას უნდა ვუმადლოდეთ. COVID-19-ის უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინების შემუშავება უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია პანდემიის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის პროცესში, იმისთვის, რომ პანდემია დასრულდეს და ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ საყვარელი საქმეების კეთებას, საყვარელ ადამიანებთან ერთად

კვლევასა და განვითარებაში ჩადებული უპრეცედენტო ინვესტიციების და გლობალური თანამშრომლობის შედეგად, მეცნიერებმა COVID-19–ის წინააღმდეგ უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინების შემუშავება რეკორდულ დროში მოახერხეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სტუმარმა ამომწურავად უპასუხა მოსწავლეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. დიდი მადლობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალურ ცენტრს სკოლასთან თანამშრომლობისათვის.

29. 8 აპრილი ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა. 7აპრილი

2022 წლის ჯანმრთელობის მსოფლიო დღის თემაა ჩვენი პლანეტა, ჩვენი ჯანმრთელობა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებამ, გარემოს დაცვამ, ეკონომიკურმა განვითარებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება მიუხედავად ამისა, წელიწადში დაახლოებით ერთი მილიონი ნაადრევი სიკვდილი გამოწვეულია ცნობილი გარემოსდაცვითი რისკებით.

ჰაერის დაბინძურება, დაბინძურებული წყალი, არაადეკვატური სანიტარული პირობები, მათ შორის მყარი ნარჩენების მართვა, გარკვეული სახიფათო ქიმიკატების რისკები და კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზემოქმედება არის ყველაზე აქტუალური გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხე .

ჩვენი პლანეტის, ჩვენი ჯანმრთელობის ეს თემა უნდა იყოს ჩვენთვის ძლიერი შეხსენება, რომ მრავალი ამ საკითხის გადაწყვეტა სცილდება ჯანდაცვის სექტორის ექსკლუზიურ კომპეტენციას. ეფექტიანი რეაგირება მოითხოვს საზოგადოების ყველა წევრის მიდგომების შეცვლას და აქტიურ მოქმედებას.

სკოლის ეკოკლუბის წევრები ჯანმრთელობის დღის წლევანდელ თემას სკოლის ეზოში მარადმწვანე ხეების დარგვით გამოეხმაურნენ.

28. 9 აპრილი ·

სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მათემატიკის წამყვანი მასწავლებლის ნატო აბულაძის მიერ მე-8 კლასში ჩატარებულ გაკვეთილს დაუკვირდა და შეაფასა. მასწავლებელის მიერ გაკვეთილისთვის წინასწარ შერჩეული სწავლების ყველა სტრატეგია მიზნის შესაბამისი იყო. მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის დროს იყენებდა მრავალფეროვან კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისაგან დაფიქრებას, საკითხის გააზრებასა და მსჯელობას მოითხოვდა. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვების გამოყენებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გაკვეთილი წარიმართა ისე , რომ მოსწავლეები კოგნიტურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. იგი თავიდან ბოლომდე ხალისიანად და დინამი-ურად მიმდინარეობდა, მასწავლებელი იყენებდა მრავალფეროვან სტრატეგიებს. პროცესი იყო ინტერაქტიური, რამაც უზრუნველყო გაკვეთილის მიზნის მიღწევა მოსწავლეებმა შეძლეს წრფივ ორუცნობიან განტოლებათა სისტემის ამოხსნის ჩასმისა და გრაფიკული ხერხების განმტკიცება და ალგებრული შეკრების ხერხის დაუფლება. ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა მხრიდან დანახვამ ხელი შეუწყო საკითხის ღრმად გააზრებას.გაკვეთილზე წარმოჩინდა მოსწავლეების მიერ ელექტრონული პროგრამაში geogebra მუშაობის უნარების ფლობა, რამაც მათი ცოდნა გაკვეთილზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით მარტივად აღქმადი გახადა. წარმატებები პედაგოგს და მოსწავლეებს

27. 9 აპრილი ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა.

2022 წლის ჯანმრთელობის მსოფლიო დღის თემაა ჩვენი პლანეტა, ჩვენი ჯანმრთელობა.ეს მოწოდება წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას მწვანე და ჯანსაღი საფარის აღდგენისთვის! სკოლა ანაბასისის ეზოში არაერთი ხე დაირგო. ერთ-ერთი მათგანი როგორც მოწყვლადი სახეობა შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“. ეს გახლავთ უთხოვარი ანუ ურთხელი. იგი გადაშენების ზღვარზე მდგომი მცენარეა. ლეგენდის თანახმად, XII საუკუნეში, თამარ მეფემ გლეხებს უთხოვარის ტყეების გაჩეხვა აუკრძალა. ამ ლეგენდას ვუმადლით და იმასაც, რომ საქართველო დღეს ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც უთხოვარის რელიქტური კორომებია შემორჩენილი.

ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ მაშინ ზრუნავდნენ საკუთარი ფლორის გაიშვითებული სახეობების დაცვა-შენარჩუნებაზე.

სკოლის ეზოში ასეთი იშვიათი მცენარის დარგვის იდეა მე-4ა კლასის მოსწავლეებს ეკუთვნის. კლასის ხელმძღვანელი თეა გურაბანიძე . უთხოვარი მათი ხეა, რომელზე მზრუნველობაც თავის თავზე აიღეს ! მადლობ

26. 9 აპრილი ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა.

ჯანსაღი ცხოვრების წესი არა მხოლოდ კონკრეტულ პრინციპებზე დაყრდნობით ცხოვრებაა, არამედ, პირველ რიგში, გააზრებული ქმედებების ერთობლიობაა, რომელიც ასევე მოიაზრებს კარგი სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას, საკუთარ თავზე ზრუნვას, ჯანსაღ ურთიერთობებს და ა.შ შესაბამისად, ჯანსაღი ცხოვრების წესი ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის ნაზავია. ანაბასისის და და დილიკაურის ეკოკლუბის წევრებმა ერთად დაგეგმეს ქალაქ ზესტაფონში არსებულ ფიტნეს კლუბში განეხორციელებინათ ვიზიტი და გაეცნოთ კლუბის მუშაობის პრინციპი. ადგილზე დახვდათ ინსტრუქტორი რომელმაც მოსწავლეთა კითხვებს უპასუხა. ფიტნესი სათავეს ამერიკიდან იღებს, ის ჩამოყალიბდა 90-იან წლებში როგორც ბოდიბილდინგის ალტერნატივა. ბოდიბილდინგი ორიენტირებულია სხეულის მაქსიმალურად დიდი კუნთოვანი მასის მიღებაზე, ვარჯიშით და ანაბოლური სტეროიდების (პრეპარატები) დახმარებით. ფიტნესი სხვა სისტემით მუშაობს სხეულზე – ვარჯიში და სწორი კვება, რომლის მიზანია ჯანმრთელი სხეული. სიტყვასიტყვით ფიტნესი ნიშნავს შეესაბამებოდე, იყო კარგ ფიზიკურ ფორმაში ინგლისური სიტყვიდან – to be fit. ფიტნესი იმ ადამიანების ცხოვრების განუყოფელი წესია, ვინც სულის და სხეულის ჰარმონიისაკენ ისწრაფვის, ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე და სურვილი აქვს მუდამ კარგად გამოიყურებოდეს. სამედიცინო თვალსაზრისით ფიტნესი ეხმარება გულს, სისხლძარღვებს, ფილტვებს, კუნთებს მაქსიმალურად ეფექტურ მუშაობაში, ახანგრძლივებს ახალგაზრდობას, ებრძვის ცელულიტს, აძლიერებს დიეტის ეფექტს. ფიტნესი ზრდის კუნთის ამტანობას და ძალას, მოქნილობას, არეგულირებს სხეულის შემადგენლობას – სწორ თანაფარდობას მასას (კუნთები, ძვლები, ნერვული ქსოვილები, შინაგანი ორგანოები) და ცხიმს შორის. მოსწავლეები გაეცნენ მათი ასაკისთვის შესაფერის აქტივობებს და შეეცადნენ კიდევაც ამ აქტივობების შესრულებას, ასევე ყურადღება გაამახვილეს ჯანსაღი კვებაზე, რომელზეც ამომწურავად უპასუხა ინსტრუქტორმა. ეკოკლუბის წევრები კმაყოფილნი დარჩნენ შეხვედრით და ზოგიერთმა მათგანმა სურვილი გამოთქვა კვლავ ესტუმროს ფიტნეს კლუბს და დაკავდეს სპორტული აქტივობებით.

25. 9 აპრილი ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა.

პროექტის ფარგლებში სკოლა ანაბასისში ეკოკლუბისა და სამოქალაქო კლუბის ინიციატივით რამდენიმე სპორტული აქტივობა გაიმართა. სპორტის მასწავლებელი კობა სვიანაძე. მოსწავლეებმა თავი ბაგირის გადაწევასა და 60 მეტრიან დისტანციაზე სირბილში გამოსცადეს.

ფიზიკურ განვითარებასა და აღზრდას პიროვნების ფორმირებაში უდიდესი ადგილი უჭირავს. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ფიზიკური აღზრდა მიმართულია ორგანიზმის მორფოლოგიურ - ანატომიური და ფუნქციონალური სრულყოფის, ავადმყოფობის პრევენციისა და ჯანმრთელობის დაცვის იმუნიტეტის ამაღლებისკენ. ადამიანის სენსორულ - მოძრაობითი უნარების განვითარება განპირობებულია ყველა ფიზიკური თვისების - ძალა, სისწრაფე, სიჩქარე, მოქნილობა, ამტანიანობა, გამძლეობა, სრული და ჰარმონიული განვითარებით. სკოლის მოსწავლეები დაწყებითი კლასებიდანვე უნდა აცნობიერებდნენ, რომ ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ ამ დაავადების თავიდან აცილებას, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით არის შესაძლებელი. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს შორის, ერთ-ერთია მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ბოლო დროს გახშირდა ბავშვებსა და მოზარდებში ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის

მონაცემებით, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა მსოფლიოში სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა, იგივე ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ 5-17 წლის ბავშვები და ახალგაზრდები დღეში მინიმუმ ერთსაათიანი, ხოლო 18 წელს ზევით - სულ მცირე 150 წუთიანი ყოველკვირეული საშუალო ან ინტენსიური ფიზიკური აქტივობით უნდა დაკავდნენ.

24. 13 აპრილი, 00:49-ზე ·

სკოლა ანაბასისში პროექტ ,,მადლობა თავისუფლებისათვის!"ფარგლებში რამდენიმე აქტივობა განხორციელდა 1. საინფორმაციო სემინარი ,,9 აპრილი საქართველოს ისტორიაში" მოსწავლეთა თვითმართველობის წევრებმა ანასტასია ჯუღელმა, ქეთი ცერცვაძემ , ანი კობერიძემ თანატოლებს წარუდგინეს საინტერესო პრეზენტაციები ,,სისხლიანი 9 აპრილი'', ,,9 აპრილი დღე გლოვისა,მაგრამ იმავდროულად დღე ზეიმისა'' 2. ,,ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები". ტიტები იქცა 1989 წლის 9 აპრილის სიმბოლოდ. სკოლის ეზოში ეკოლოგთა კლუბის ინიციატივით ტიტების არაერთი ნერგი დაირგო. 3. ,, რა ვიცით 9 აპრილზე" თვითმართველობამ შეიმუშავა კითხვარი, რომლის დახმარებითაც გამოკითხა საზოგადოების წევრები. 4.,, ხეები ლექსებით იფარჩება, ხეებზე აკრავენ ღვთის ბრალდებას.." 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ რუსთაველის ჭადრებზე მიკრულ თეთრ ფურცლებს ქარი აფრიალებდა ...ხელნაწერი ლექსების წინ ხალხი ჩერდებოდა , ერთი ხიდან მეორისაკენ გადაადგილდებოდნენ . ეს იყო ემოციის გამოშვების ერთ-ერთი გზა. ხალხი ხეებზე მიკრული ამ ლექსებით ყვებოდა თუ ეხმაურებოდა 9 აპრილის ღამის კოშმარს. თვითმართველობის წევრებმა სიმბოლურად ქალაქის ქუჩებში ხეებზე თეთრ ფურცლებზე დაწერილი ის ლექსები გააკრა რომელიც 33 წლის წინ რუსთაველზე ფრიალებდა ხეებზე და საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა.

,,ჩემო სამშობლოვ, ჩემო ერო , ჩემო ქალაქო

უიარაღოს იარაღით როცა გებრძვიან

ეს იმას ნიშნავს , ძლიერი ხარ უიარაღოც"

გვახსოვს და გვტკივა 9 აპრილი.... მადლობა თავისუფლებისათვის! -სკოლა ანაბასისის მოსწავლეთა თვითმართველობა.

23. 13 აპრილი, 22:25-ზე ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა.

სკოლის წამყვანი მასწავლებლის მარინა კაპანაძის მიერ რუსულში, მე-8 ბ კლასში ჩატარდა გაკვეთილი თემაზე ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი". მოსწავლეებმა შეძლეს ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ლექსიკო-გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება, მინი დიალოგების შედგენა , ტექსტი ინტერვიუ ,,მარია შარაპოვა "წაკითხვა , გაგება, გააზრება, დასკვნების გამოტანა, რამაც საშუალება მისცა მათ აღეწერათ შეთავაზებული ილუსტრაციები და წერილობითი რეკომენდაციები მიეცათ თანატოლებისა და უმცროსი მეგობრებისათვის . მათ შექმნეს ფოტოგამოფენა, რომელთა გამოყენებით შეიძლება საინფორმაციო ბუკლეტების დაამზადება .,ჯანსაღი ცხოვრება უალტერნატივოა" გაკვეთილზე დაკვირვებას აწარმოებდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი. მასწავლებლის მიერ გაკვეთილისათვის შეჩეული იმპროვიზებული სწავლების ყველა სტრატეგია მიზნის შესაბამისი იყო. მოსწავლეები არგუმენტირებულად მსჯელობდნენ , აჯამებდნენ და დასკვნებს აკეთებდნენ. წარმატებები მოსწავლეებს და მასწავლებელს!

22. 13 აპრილი, 23:31-ზე ·

სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ინგლისური ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებლის სოფიო გიორგაძის მიერ მე-5 კლასში ჩატარებულ გაკვეთილს დაუკვირდა და შეაფასა. გაკვეთილის თემა იყო: ,,ჩემი სახლი" მოსწავლეებმა შეძლეს თავიანთი ლექსიკური მარაგით ინგლისურ ენაზე წარმოედგინათ პრეზენტაციები, ეპასუხათ დასმული შეკითხვებზე,აღეწერათ მასწავლებლის მიერ მიწოდებული სლაიდები, აჩვენეს რომ გამომუშავებული აქვთ შესაბამისი ენობრივი უნარ-ჩვევები და შეუძლიათ მისი გამოყენება, შეთავაზებულ წინადადებებში შეძლეს სწორი და არასწორი ინფორმაციების გარჩევა. აქტურად ჩაერთნენ ,,Memory Game--ში,

რომლისთვისაც სპეციალური ელექტრონული პროგრამა გამოიყენა პედაგოგმა , მე-5 კლასელებმა უმოკლეს დროში შეძლეს დამალული ფოტოების გამოცნობა და გახსნა. გაკვეთილი მიმდინარეობდა დინამიურად და საინტერესოდ . შექმნილი იყო თანამშრომლობითი , პოზიტიური სასწავლო გარემო . წარმატებები მოსწავლეებს და მასწავლებელს!

21. 14 აპრილი, 20:20-ზე ·

-💖📚ჩვენი ენა ქართული💖📚-

ანაბასისის 1ა და 2ა კლასის მოსწავლეები (მასწავლებლები თამარ ვეფხვაძე და ლოლიტა ნებიერიძე) გაეცვნენ, თუ რატომ აღვნიშნავთდა ვზეიმობთ 14 აპრილს ქართული ენის დღეს. მოისმინეს და შეასრულეს დედაენის ჰიმნი.

გილოცავთ ქართული ენის დღე

გურაბანიძე-გილოცავთ დედა ენის დღეს 📖

იაკობ გოგებაშვილი: “მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა... მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ.” 🌟

20. 16 აპრილი, 00:15-ზე ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა.

ამჟამინდელი პანდემიის, დაბინძურებული პლანეტისა და დაავადებების მზარდი სიხშირის პირობებში, ჩვენი პლანეტა და ჩვენი ჯანმრთელობა ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება.

სკოლა ანაბასისის მე-4 ა და მე-4 ბ კლასის მოსწავლეები - პედაგოგები ნანა ფერაძისა და სალომე კაკაურიძის ხელმძღვანელობით გლობალური მასშტაბის პროექტის ,,გაკვეთილები საზღვრების გარეშე " სემინარში ჩაერთნენ : ,გარემოს დაცვა.“ ჩვენმა მოსწავლეებმა თანატოლებს მომზადებული პრეზენტაციებითა და პოსტერებით გააცვნეს თავიანთი დამოკიდებულება გარემოს დაცვის საკითხებზე , ასევე მოისმინეს ვიეტნამელი, რუმინელი და ინდოელი მოსწავლეების მოსაზრებები. შეხვედრის შედეგად ბავშვებს განუვითარდათ ინგლისური ენის მოსმენითი და სასაუბრო უნარები, აუმაღლდათ ცნობიერება, გარემოს დაცვის საკითხებზე . სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის ეკოკლუბის წევრები . ანასტასია ჯუღელი მიესალმა სემინარის მონაწილეებს. ვიეტნამის სკოლის წარმომადგენლმა და ჩვენ მასწავლებლებთან ერთად შემდგომი თანამშრომლობის გზები დაგეგმა.წარმატებები მასწავლებლებს და მოსწავლეებს!

შეხვედრის ორგანიზატორმა ვიეტნამის წარმომადგენელმა გულთბილი წერილი გამოგვიგზავნა.

19. 16 აპრილი, 23:26-ზე ·

სკოლა ანაბასისი. პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა.

სკოლა ანაბასისში მეექვსე მეორე კლასში ქართულის წამყვანი მასწავლებლის ელისო ბერაძის მიერ ჩატარდა გაკვეთილი თემაზე,, ხელი გავუწოდოთ ბუნებას“. რომელსაც დააკვირდა და შეაფასა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი. გაკვეთილი კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების ერთ-ერთი ეტაპი იყო. მოსწავლეებმა შეძლეს შეექმნათ კედლის გაზეთები(გაერთიანებულნი იყვნენ 4 ჯგუფად),წარმოედგინათ თავიანთი ნამუშევრების პრეზენტაცია,პრეზენტაციისას წარმოადგინეს მთავარი იდეა და გამოიტანეს დასკვნა,შეძლეს ,გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ბუნების მიმართ,წარმოეჩინათ გუნდური მუშაობის,შემოქმედებითი და წერითი უნარების ცოდნა.

მოსწავლეთა აქტიურობა,შემოქმედებითობა(წარმოადგინეს საკუთარი შექმნილი ლექსები და მოთხრობები ბუნების დაცვის თემაზე),სითამამე პრეზენტაციების წარმოდგენის დროს, მსჯელობის თანმიმდევრულობა,საკუთარი მოსაზრებების საილუსტრაციოდ კონკრეტული მაგალითების მოხმობა,ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ელემენტების ეფექტურად გამოყენება,დროის ლიმიტის დაცვა,კორექტულობა სხვა ჯგუფების მონაწილეთა მიმართ.გაკვეთილზე აქცენტი გაკეთდა ,რომ

ჩვენი პლანეტა და ჩვენი ჯანმრთელობა ეს მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ცნებებია! დავიცვათ პლანეტა ! ნიშნავს დავიცვათ ჯანმრთელობა! ხელი გავუწოდოთ ბუნებას! ნიშნავს ვიზრუნოთ ჯანმრთელობის დასაცავად!

მასწავლებელის მიერ გაკვეთილისთვის წინასწარ შერჩეული ან იმპროვიზირებული სწავლების ყველა სტრატეგია მიზნის შესაბამისი იყო . მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის დროს იყენებდა მრავალფეროვან კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისაგან დაფიქრებას, საკითხის გააზრებასა და მსჯელობას მოითხოვდა. მასწავლებელი თანმიმდევრული იყო კითხვების დასმის დროს, იწყებდა მარტივით და თანდათან ართულებდა მათ. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვების გამოყენებით მასწავლებელი აგრეთვე ხელს უწყობდა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ხშირად კითხვის დასმის ინიციატორები მოსწავლეებიც იყვნენ. მასწავლებელი ეფექტურად იყენებდა მათ ინიციატივას და გაკვეთილი დინამიურად მიმდინარეობდა. მოსწავლეები არგუმენტირებულად მსჯელობდენ, - აჯამებდენ, გამოქონდათ დასკვნები. მასწავლებელი ფასილიტატორის როლში იყო და მთელ კლასს წარმატებით რთავდა სწავლა-სწავლების პროცესში.

წარმატებები მასწავლებელს და მოსწავლეებს!

18. 19 აპრილი, 16:00-ზე ·

ანაბასისელი მეექვსეკლასელები ზღაპარ -ქალაქს ესტუმრენ,სადაც კლავიშზე აფარფატებულ პეპლებსაც შეხვდდნენ, ყირამალა მოსიარულე კაცსაც , ქარების დამმორჩილებელს, მექუდესაც და ნაღვლიან კლოუნსაც, ქალაქის გდარჩენას რომ ცდილობდა მავნე სენისგან- ჩემოდნების სიყვარულისგან, მექუდეც შეიყვარეს, მხოლოდ პირველ ქუდს რომ კერავდა პატარებისათვის, ცისფიქრიან ადამიანებად რომ ქცეულიყვნენ..

დიდი მადლობა ქართულის პედაგოგ ქალბატონ მარეხ ფორჩხიძეს და მის აღსაზრდელებს არაჩვეულებრივი სანახაობის მოწყობისათვის! როგორ მოგვნატრებია სცენა და მსახიობობა!

17. 21 აპრილი, 00:29-ზე ·

სკოლა ანაბასისის უფროსი მასწავლებლის მარინა ავალიშვილის მიერ რუსულში, მე-7 კლასში ჩატარდა გაკვეთილი თემაზე ,,ჩვენი ქალაქი“. მოსწავლეებმა შეძლეს ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ლექსიკო-გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის ,, თბილისი- საქართველოს დედაქალაქი“ გამოყენებით , პრეზენტაციის მომზადება და წარმოდგენა რუსულ ენაზე ,,ჩვენი ქალაქი“, რომელიც მოიცავდა ზესტაფონის ისტორიას, ქალაქის აღწერას, ღირსშესანიშნავ ნაგებობებს, ზესტაფონელ ცნობილ ადამიანებს (მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, მუსიკოსებს) , ისაუბრეს როგორ გადაიტანა ქალაქმა პანდემია, დააფიქსირეს თავიანთი ხედვა როგორ წარმოუდგენიათ ზესტაფონი მომავალში. მათ მიერ შექმნილ კედლის გაზეთებსა და ბუკლეტებში იგრძნობოდა გულმოდგინება და პასუხისმგებლობა. გაკვეთილზე დაკვირვებას აწარმოებდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი. მასწავლებლის მიერ გაკვეთილისათვის შეჩეული იმპროვიზებული სწავლების ყველა სტრატეგია მიზნის შესაბამისი იყო. მოსწავლეები არგუმენტირებულად მსჯელობდნენ , აჯამებდნენ და დასკვნებს აკეთებდნენ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა გრამატიკულ მასალაზე კერძოდ ბრუნვასა და ბრუნებაზე , მათ გამოყენებაზე წინადადებებისა და ფრაზების აგების პროცესში. საკითხების ინტეგრირება მოხდა ქართულ ენასთან .გაკვეთილზე შექმნილი იყო პოზიტიური თანანამშრომლობაზე აგებული, სწავლისათვის ოპტიმალური გარემო! გაკვეთილმა მიზანს მიაღწია! წარმატებები მოსწავლეებს და მასწავლებელს!

16. 21 აპრილი, 21:09-ზე ·

სკოლა ანაბასისის უფროსმა მასწავლებლმა ნანა გიორგაძემ მეექვსე პირველ კლასში ჩაატარა ხელოვნების გაკვეთილი , რომელსაც დაუკვირდა და შეაფასა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი. მოსწავლეებმა შეძლეს სახვითი ხელოვნების ერთ- ერთი ჟანრის - პორტრეტის, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით გაეცნოთ და გაეანალიზებინათ ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო პორტრეტის ნიმუში - ფაიუმის პორტრეტი; მოსწავლეებს განუვითარდათ დაკვირვების ,

ხელოვნების ნიმუშზე ასახული განწყობილების ამოკითხვისა და სიტყვიერად მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემის უნარები.

რასაც ადასტურებდა მათი პასუხები მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე. მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის დროს იყენებდა მრავალფეროვან კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისაგან დაფიქრებას, საკითხის გააზრებასა და მსჯელობას მოითხოვდა. მასწავლებელი თანმიმდევრული იყო კითხვების დასმის დროს, იწყებდა მარტივით და თანდათან ართულებდა მათ. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვების გამოყენებით ხელს უწყობდა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.

გაკვეთილზე გამოყენებულ იქნა მიზნის შესაბამისი აქტივობები, რაც დაეხმარათ ბავშვებს ახალი ინფორმაცია დაეკავშირებინათ განვლილ მასალასთან. ვენის დიაგრამით, მოსწავლეებმა შეძლეს შეედარებინათ სხვადასხვა ეპოქაში შესრულებული პორტრეტები, რომაელი ქალის პორტრეტი ფაიუმის პორტრეტს, მხატვრულ-მახასიათებელი თვისებების გააზრებულ ცოდნაზე დაყრდნობით წარმატებით გაართვეს თავი დავალებას, სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ პორტრეტები დაელაგებინათ ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესამდე.

გაკვეთილმა აჩვენა,რომ გააზრებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედუნარიანობას, ეხმარება მას სიძნელეთა გადალახვაში, შესაძლებლობას აძლევთ მასწავლებლის შერჩეული ხერხებითა და მიდგომებით გამოავლინონ ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული. პირველი გულისხმობს ფაქტებისა და თეორიების ცოდნას, მეორე გულისხმობს ცოდნის რეალიზებას და მესამე კი პასუხობს კითხვას როდის ან რატომ უნდა გამოვიყენო შეძენილი ცოდნა და უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში

წარმატებები მოსწავლეებს და მასწავლებელს ქალბატონ ნანა გიორგაძეს!

15. **21 აპრილი, 23:57-ზე** ·

სკოლა ანაბასისის უფროსმა მასწავლებელმა დიანა მუმლაძემ მესამე ა კლასში ინგლისურ ენაში ჩაატარა გაკვეთილი, რომელსაც დაუკვირდა და შეაფასა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი. გაკვეთილის თემა იყო ,,წელიწადის დროები''.მოსწავლეებმა შეძლეს მათთვის ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო ინგლისურ ენაზე საუბარი.

მასწავლებლის მიერ დაგეგმილმა სახალისო აქტივობებმა უზრუნველყო გაკვეთილის მიზნის მიღწევა.აქტივობების შესასრულებლად ინსტრუქციები იყო მკაფიო და მოიცავდა მოსწავლეთა სავარაუდო შეცდომების პრევენციას. სასწავლო აქტივობების შესრულების ინსტრუქციების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები. მასწავლებელი სიტუაციის შესაბამისად იყენებდა მიმიკას, ჟესტიკულაციას, ჩანდა, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის დამყარებულია ეფექტური კომუნიკაცია. საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეებს უწევდათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფურად მუშაობა. აქტიურად ერთვებოდნენ სახალისო ქვიზების შესრულებაში. გაკვეთილის დასკვნით ნაწილში, შეასრულეს ჯგუფური სამუშაო და წარმოადგინეს მოკლე პრეზენტაციები ინგლისურ ენაზე წელიწადის სხვა და სხვა დროებზე. გაკვეთილის მიზნის მიღწევას ხელი შეუწყო მრავალფეროვანმა, გაკვეთილის მიზნის შესაბამისმა მოსწავლეთა მამოტივირებელმა რესურსებმა. წარმატებები მოსწავლეებს და ინგლისური ენის ახალგაზრდა პედაგოგს დიანა მუმლაძეს.

14. 22 აპრილი, 16:07-ზე ·

დედამიწის დღესთან დაკავშირებით სკოლა ანაბასისში განხორციელდა პროექტი ,, გაუფრთხილდეთ დედამიწას- გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას'' ადამიანის მავნე ზემოქმედება გარემოზე ყველაზე მძიმედ თვით ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახება. რთულია მოუსმინო იმ საფრთხეს რაც შეიძლება დაბინძურებულმა გარემომ მიაყენოს ადამიანს და ეს არ გახდეს მისი შეცვლის საწინდარი. პროექტის ინიციატორია სკოლის ეკოლოგთა კლუბი. მიზანი გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება, გარემოზე ჩვენს მოქმედებასა და გარემოს ჩვენზე გავლენას შორის არსებული კავშირის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა დაგანხორციელდა აქტივობები: 1. დასუფთავებისაქცია.

ბუნებისმეტყველების პედაგოგ რუსუდან გურგენაშვილთან ერთად სკოლის ეკოკლუბელებმა მე-5 კლასის დასუფთავების აქციას გაუკეთეს ორგანიზება. მათ დაასუფთავეს სკოლის მიმდებარე ტერიტორია . ის გარემო, რომელიც ადამიანის ხელითვე იყო დაბინძურებული. ბავშვები ემოციებს ვერ მალავდნენ, გარემოში არსებულმა მდგომარეობამ მათში დიდი გულისტკივილი გამოიწვია. გარემო დაბინძურებული იყო პოლიეთილენის პარკებით, პლასტმასის ბოთლებით და სხვა ისეთი ნივთებით, რომლის დაშლას წლები სჭირდება ან ზოგიერთი მათგანის ლპობა შეუძლებელია. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მომავალშიც გააგრძელებენ დასუფთავების აქციებში მონაწილეობას. 2. კონფერენცია ,, დედამიწა საფრთხეშია“ ეკოკლუბელებმა და მათმა მეგობრებმა თანატოლებს საინტერესო პრეზენტაციები შესთავაზეს ჰაერისა და წყლის დაცვის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვასთან უშუალო კავშირშია და მიმოიხილეს ის საფრთხეები რაც შეიძლება გამოიწვიოს ჰაერის ან წყლის დაბინძურებამ. 3. ეკოკლუბელმა ქეთი ცერცვაძემ და ელენე მელაძემ თანატოლების ოთხ გუნდს ეკოლოგიური თამაში ,, რა, სად,როდის“ შესთავაზეს . კითხვებმა ეკოლოგიურ საითხებზე , მცენარეთა და ცხოველთა დაცვაზე მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია და მოსწავლეთა ცნობიერება გარემოს დაცვით მიმართულებით აამაღლა. ,,ყველა დღე უნდა ვაქციოთ დედამიწის დაცვის დღედ“ . ასკვნიან ანაბასისელი ეკოკლუბელები და მომავალშიც არაერთი იდეის განხორციელებას აპირებენ ამ მიმართულებით.

13. Eka Jimshiashvili არის სკოლა ანაბასისია და Salome Kakauridze თან ერთად.

22 აპრილი, 16:21-ზე ·

დამოუკიდებელი სკოლა ანაბასისის Iბ და IIბ კლასში წარმატებით განხორციელდა პროექტი ქართულსა და ინგლისურ ენაზე "დედამიწა ჩვენი სახლია დავიცვათ და გაუფრთხილდეთ მას"

12. 24 აპრილი, 23:32-ზე ·

„ბედნიერი აღდგომის დღესასწაული ყველას!“ -აღნიშნული სახელწოდებით საქველმოქმედო პროექტი ანაბასისში ტრადიციულად ხორციელდება უკვე რამდენიმე წელია.

სამოქალაქო განათლების კლუბის და ეკოკლუბის წევრებმა სააღდგომოდ მარტოხელა ხანდაზმულ მოხუცებთან ერთად სოციალურად დაუცველთა ოჯახები მოინახულეს და სხვადასხვა სახის პროდუქტთან ერთად თავიანთი სითბო და ყურადღება გაუნაწილეს მათ.

„ნუ დაუკავებ სიკეთეს მას, ვინც ამას იმსახურებს, როცა შენს ხელს ამის ძალა შესწევს“ (იგავები 3:27).

"სიკეთე გადამდებია!"

"გააგრძელეთ კეთილი საქმის კეთება!"

11. 27 აპრილი, 00:47-ზე ·

ანაბასისელი ელენე შალამბერიძე, გლობალურ პლატფორმაზე ვებინარის ,,ერთად ავღნიშნოთ დედამიწის დღე" ერთ-ერთი საუკეთესო პრეზენტატორია. შეხვედრის ორგანიზატორი ქვეყანა ხორვატია იყო. ,,დედამიწის დღე ერთ-ერთი უდიდესი გარემოსდაცვითი ღონისძიებაა მსოფლიოში, სადაც ყოველწლიურად ათასობით ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს დაახლოებით ორასი ქვეყნიდან. დედამიწის დღე საქართველოში 1990 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება. ჩვენი პასუხისმგებლობაა ვიზრუნოთ გარემოზე, შევზღუდოთ ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს ჩვენს პლანეტას. შემოგვიერთდით 22 აპრილს და წვლილი შეიტანეთ დედამიწისა და თქვენი ქვეყნის სისუფთავეში." აღნიშნა ელენემ თავის გამოსვლაში. მან საერთაშორისო აკრედიტებული სერთიფიკატები და აღიარება მოიპოვა! იგი თვლს, რომ ეს დღე მისთვის მნიშვნელოვანი იყო , რომელმაც დიდი გამოცდილება შესძინა, ბევრი რამ ისწავლა და გაიზარდა პიროვნულად. ვულოცავთ ელენეს წარმატებას! იგი ღირსეულად წარსდგა გლობალურ პლატფორმზე , წარმოაჩინა საკუთარი თავი და ქვეყანა!

10. მსჯავრდებულია იმუნური სისტემა!

სასკოლო პრიექტ ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა" ფარგლებში ბიოლოგიის გაკვეთილი ჩატარდა თემაზე იმუნური სისტემა.

იმუნური სისტემასუდიდესი როლი აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან მისი გამართული მუშაობა განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმის მდგრადობას. იმუნური სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო პროექტ გაკვეთილის მიზანი, რომელიც ჩატარდა მე-8ა კლასში ბიოლოგიის უფროსი მასწავლებლის თამარ მალაღურაძის მიერ. გაკვეთილის ერთ-ერთი საინტერესო აქტივობა იყო ,,იმუნიტეტის გასამართლება „ მოსწავლეების უშუალო მონაწილეობით მოეწყო ფიზიკური გარემო. საკლასო ოთახი სასამართლო დარბაზად გადაიქცა , სადაც ადგილები განკუთვნილი იყო მოსამართლის, მსჯავდებულის, პროკურორებისა და დაცვის მხარეებისათვის. მსჯავრდებულის სკამზე აღმოჩნდა იმუნიტეტი . რომელიც მოსამართლის განაჩენს მოთმინებით ელოდებოდა. პროკურორებმა სასამართლოს წარუდგინეს იმუნური სისტემის ხარვეზები, ისაუბრეს ალერგიულ და აუტოიმუნურ დაავადებებზე, როგორც იმუნური სისტემის შეცდომაზე. პროკურორების ბრალდების გაქარწყლებას დაცვის მხარეები დამჯარებელი არგუმენტებით ცდილობდნენ, ისაუბრეს იმუნიტეტის ფორმებზე, ბუნებრივ და ხელოვნურ იმუნიტეტზე, აცრისა და სამკურნალო შრატის მნიშვნელობაზე. მათ მოიყვანეს თვალსაჩინო მაგალითი(ვირუსული დაავადება აივ-ინფექცია, რომლის ბოლო სტადია შიდსია და ამ დროს იმუნური სისტემა იმდენადაა დასუსტებული, რომ უმნიშვნელო გაციებაც კი ადამიანისათვის შეიძლება მომაკვდინებელი აღმოჩნდეს), რომელიც იმუნური სისტემის ფუნქციას კარგად გამოხატავს, მის გარეშე არსებობა შეუძლებელია, კარგი იმუნური სისტემა ნიშნავს ორგანიზმის ჯანმრთელობას. იმუნური სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება კი ჯანსაღი ცხოვრების წესითაა შესაძლებელი. სასამართლო პროცესზე სიტყვით ალერგია და ავტოიმუნური დაავადებებიც გამოვიდნენ, რომლებიც პროკურორების ბრალდების გამყარებას შეეცადნენ. მოსამართლემ იმსჯელა, საქმის მასალებიდან გამომდინარე და დაცვის მხარის მტკიცებულებების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება : თავისუფლება იმუნიტეტს, მიეცეს რეკომენდაცია ხარვეზების გამოსასწორებლად. სასამართლოს განაჩენმა დარბაზი კმაყოფილი დატოვა. მოსწავლეებმა იმუნიტეტის როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა კუთხით დაინახეს, შეიძინეს პირობისეული ცოდნა რაც გულისხმობს დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას. საგანთა, მოვლენათა, სიტუაციათა არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რომელიც ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გადატანის (ტრანსფერის) შესაძლებლობას იძლევა. იგი დინამიკური ხასიათისაა და უპასუხებს შეკითხვებს: როდის, რა შემთხვევაში? რატომ.

გაკვეთილს დაუკვირდა და შეაფასა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი.

წარმატება ბიოლოგიის ახალგაზრდა პედაგოგს თამარ მალაღურაძეს მოსწავლეებთან ერთად!

9. მსჯავრდებულია იმუნური სისტემა!

სასკოლო პრიექტ ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა" ფარგლებში ბიოლოგიის გაკვეთილი ჩატარდა თემაზე იმუნური სისტემა.

იმუნური სისტემასუდიდესი როლი აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან მისი გამართული მუშაობა განაპირობებს ცოცხალი ორგანიზმის მდგრადობას. იმუნური სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო პროექტ გაკვეთილის მიზანი, რომელიც ჩატარდა მე-8ა კლასში ბიოლოგიის უფროსი მასწავლებლის თამარ მალაღურაძის მიერ. გაკვეთილის ერთ-ერთი საინტერესო აქტივობა იყო ,,იმუნიტეტის გასამართლება „ მოსწავლეების უშუალო მონაწილეობით მოეწყო ფიზიკური გარემო. საკლასო ოთახი სასამართლო დარბაზად გადაიქცა , სადაც ადგილები განკუთვნილი იყო მოსამართლის, მსჯავდებულის, პროკურორებისა და დაცვის მხარეებისათვის. მსჯავრდებულის სკამზე აღმოჩნდა იმუნიტეტი . რომელიც მოსამართლის განაჩენს მოთმინებით ელოდებოდა. პროკურორებმა სასამართლოს წარუდგინეს იმუნური სისტემის ხარვეზები, ისაუბრეს ალერგიულ და აუტოიმუნურ დაავადებებზე, როგორც იმუნური სისტემის შეცდომაზე. პროკურორების ბრალდების გაქარწყლებას დაცვის მხარეები დამჯარებელი არგუმენტებით ცდილობდნენ, ისაუბრეს იმუნიტეტის ფორმებზე, ბუნებრივ და ხელოვნურ იმუნიტეტზე, აცრისა და სამკურნალო შრატის მნიშვნელობაზე. მათ მოიყვანეს თვალსაჩინო მაგალითი(ვირუსული დაავადება აივ-ინფექცია, რომლის ბოლო სტადია შიდსია და ამ დროს იმუნური სისტემა იმდენადაა დასუსტებული, რომ უმნიშვნელო გაციებაც კი ადამიანისათვის შეიძლება მომაკვდინებელი აღმოჩნდეს), რომელიც იმუნური სისტემის ფუნქციას კარგად გამოხატავს, მის გარეშე არსებობა შეუძლებელია, კარგი იმუნური სისტემა ნიშნავს ორგანიზმის ჯანმრთელობას. იმუნური სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება კი ჯანსაღი ცხოვრების წესითაა შესაძლებელი. სასამართლო

პროცესზე სიტყვით ალერგია და ავტოიმუნური დაავადებებიც გამოვიდნენ, რომლებიც პროკურორების ბრალდების გამყარებას შეეცადნენ. მოსამართლემ იმსჯელა, საქმის მასალებიდან გამომდინარე და დაცვის მხარის მტკიცებულებების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება : თავისუფლება იმუნიტეტს, მიეცეს რეკომენდაცია ხარვეზების გამოსასწორებლად. სასამართლოს განაჩენმა დარბაზი კმაყოფილი დატოვა. მოსწავლეებმა იმუნიტეტის როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა კუთხით დაინახეს, შეიძინეს პირობისეული ცოდნა რაც გულისხმობს დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას. საგანთა, მოვლენათა, სიტუაციათა არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რომელიც ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გადატანის (ტრანსფერის) შესაძლებლობას იძლევა. იგი დინამიკური ხასიათისაა და უპასუხებს შეკითხვებს: როდის, რა შემთხვევაში? რატომ.

გაკვეთილს დაუკვირდა და შეაფასა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი.

წარმატება ბიოლოგიის ახალგაზრდა პედაგოგს თამარ მალაღურაძეს მოსწავლეებთან ერთად!

8. English Book Education ის მიერ ორგანიზებულ პროექტში

სკოლა ანაბასისის მე -7 კლასის მოსწავლეთა ნამუშევრები რჩეულთა შორისაა! ვულოცავთ ინგლისურის პედაგოგ ნანა ფერაძეს და მოსწავლეებს მიღწეულ წარმატებას!

7. დიდი სიხარულით და მონდომებით მიიღეს ბავშვებმა მონაწილეობა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებულ კონკურსში და შეასრულეს ძალიან საინტერესო და ფერადი პრეზენტაციები... დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს მოტივაციისთვის..გილოცავთ ჩემო უნიჭიერესებო ამ წარმატებებს, მჯერა რომ უფრო დიდ მწვერვალებს დაიპყრობთ მომავალშიც

English Book Education ის მიერ ორგანიზებულ პროექტში

სკოლა ანაბასისის ინგლისურის მასწავლებელ ეკატერინე ჩაჩიბაიას მოსწავლეთა ნამუშევრები რჩეულთა შორისაა! ვულოცავთ პედაგოგს და მოსწავლეებს მიღწეულ წარმატებას!

6. 5 მაისი, 18:56-ზე ·

2022 წლის საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი "ეტალონი" საქართველოს განათლების და მეცნიერების მხარდაჭერით კვლავ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს!

დღეს, 5 მაისს სკოლა ანაბასისში დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ,,ეტალონის" პირველი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს VIII, IX, X და XI კლასის მოსწავლეებმა.

კონკურსის ყველა მონაწილე "ეტალონის" სპეციალური სახელობითი ონლაინ სიგელით დაჯილდოვდა.

სკოლა ანაბასისიდან პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით მეორე ეტაპზე გადავიდნენ თემურ გოგიაშვილი (XI კლასი), ალექსანდრე ხუსკივაძე, საბა ბახტაძე, ქრისტინე ქარქაშაძე, გიორგი ქათამაძე, ნიკა ცხადაძე (VIIIკლასი).

"ზესტაფონის ეტალონი მოსწავლის" გამოსავლენად კონკურის მეორე ეტაპი გაიმართება დისტანციურ რეჟიმში ხვალ, 6მაისს 10:00 საათიდან 16:00 საათამდე;

ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს ინტელექტ-ჩემპიონატის პირველ ტურში გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

"ეტალონის" პედაგოგი თეა სამხარაძე.

5. პროქტ გაკვეთილი: ჩვენ ვსწავლობთ ,,ვეფხისტყაოსანს“.

მიუხედავად იმისა,რომ მრავალი ადამიანი მოუხიბლავს დიდებულ ,,ვეფხისტყაოსანს“ , უნდა ვაღიაროთ , რომ სკოლაში ვრცელი პოემის რთულ ლაბირინთებში გავლას ხნგრძლივ და მოსაბეზრებელ პროცესად თვლიან ხოლმე მოსწავლეები. ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი მარეხ ფორჩხიძე მუდმივად ეძიებს იმ გზებს, რომლებიც შემოქმედებითად აღაქმევინებს მოსწავლეებს პერსონაჟთა სახეებს , მათ ქმედებებს კი ფიქრისა და განსჯის უშრეტ წყაროდ აქცევს . სკოლა ანაბასისის

მე -10 კლასელებმა შეძლეს დებატებში გამოეწვიათ ერთმანეთი პერსონაჟთა სახეებზე მსჯელობისას . მათ ლევან ბერძენიშვილის , ნოდარ ნათაძისა და სხვათა კვლევებზე დაყრდნობით საკუთარი თვალსაზრისები წარმოადგინეს და შთამბეჭდავი გახადეს პროექტ-გაკვეთილი ჩვენ ვსწავლობთ ,,ვეფხისტყაოსანს“.

გაკვეთილს ესწრებოდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი.

წარმატებები ქალბატონ მარეხს და მის მოსწავლეებს!

4. 7 მაისი, 23:13-ზე ·

ახალი ტექნოლოგიები მუსიკაში

სკოლა ანაბასისის ხარისხის განვითარების ჯგუფი დაუკვირდა და შეაფასა მუსიკის წამყვანი პედაგოგის თეა მიქაბერიძის მე-5 კლასში ჩატარებული გაკვეთილი თემაზე : ,,ახალი ტექნოლოგიები მუსიკაში“ . გაკვეთილზე შექმნილი იყო ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის გარემო. იგრძნობოდა რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პიროვნული თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპზეა აგებული. განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა ჩვეული პრაქტიკაა . გაკვეთილის მიზანი პედაგოგმა დაუკავშირა გრძელვადიან მიზანს.ქალბატონმა თეამ, გამოამჟღავნა საგნის ღრმა, ფუნდამენტური და დარგში არსებული უახლესი მიღწევების ცოდნა, წარმატებულად დაამყარა შიდასაგნობრივი და საგანთაშორის კავშირები, მოსწავლეებს მისცა ცნებების მკაფიო განმარტება, გაამდიდრა მოსწავლეების ლექსიკურ მარაგი როგორც საგნის ფარგლებში, ასევე ტერმინთა და სიტყვათა ზოგადი გამოყენების თვალსაზრისით.სწორად წარმართულმა სტრატეგიებმა, მიზნობრივად შერჩეულმა რესურსებმა მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა რინგტონისა (მობილურის მუსიკალური ზარი) და კლასიკური მუსიკის მელოდიები ერთმანეთისათვის დაეკავშირებინათ. დავალების შესრულების მოტივაცია საინტერესო დავალებამ, ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა ინსტრუქციებმა უზრუნველყო. მიუხედავად იმისა რომ რინგტონებში კლასიკური მელოდიის მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებენ სწორად ამოიცვნეს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის , სონატა 17, ნაწილი III, ედვარდ გრიგის, საფორტეპიანო კონცერტი, კლოდ დებიუსის ,,მთვარის შუქი“ და ერიკ სატის ,, Gymnopedies" სხვადასხვა კომპანიის მობილური ტელეფონების მუსიკალურ ზარებში. ამაში დაეხმარათ საფუძვლიანად მიღებული წინარე ცოდნა, რომელიც ასევე გახდა საფუძველი მობილურში არსებული ხატულებისათვის მოსმენილი მუსიკალური ხმოვანი სიგნალები მიესადაგებინათ, დაკვირვებოდნენ რა ემოციას იწვევდა ეს სიგნალი მათში. გააკეთეს დასკვნა, რომ მუსიკით შეიძლება ემოცია გამოხატო. აქტივობა საშუალებას მისცემს მათ მიზნობრივად გამოიყენონ მობილურში არსებული ხატულები ემოციის გამოსახატად მუსიკალური სიგნალების საშუალებით. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, მსჯელობდნენ არგუმენტირებულად, ასაბუთებდნენ თავიანთ მოსაზრებებს , გამოქონდათ სწორი დასკვნები. მასწავლებელი ეფექტიანად იყენებდა მოსწავლეთა აქტიურობას, გაკვეთილი დინამიურად და საინტერესოდ მიმდინარეობდა.

ჩატარებული გაკვეთილზე განხორციელდა კომპლექსირი დავალების ,, მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ ორი ეტაპი.

წარმატებები მუსიკის წამყვან პედაგოგს თეა მიქაბერიძეს და მის მოსწავლეებს!

3. 8 მაისი, 10:07-ზე ·

შეხვედრა მზრუნველთა საბჭოსთან.

სკოლა ანაბასისში შედგა მშობელთა თვითმმართველობის ორგანოს , მზრუნველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა სკოლის დირექციასთან.

შეხვედრაზე განიხილეს მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მიღწეული შედეგები, არსებული მდგომარეობა და გამოწვევები. ყურადღება გამახვილდა სკოლაში მიმდინარე გამართულ სასწავლო პროცესზე, პანდემიით გამოწვეულ სირთულეებზე , პირველი სემესტრის ბოლოს ჩატარებულ ტრადიციულ რეიტინგულ წერაზე , რომელიც მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის ერთგვარი ინდიკატორია, მიმდინარე კომპლექსურ დავალებებზე რომლებიც აქტიურად ხორციელდება

მასწავლებლის , მოსწავლის და მშობლის თანამშრომლობით , განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაანონსებულ სადიაგნოსტიკო შეფასებებზე , როგორც ერთ-ერთ საინტერესო გამოწვევაზე .როგორც ცნობილია, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლებისათვის მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალებისა და მასწავლებლის მიერ ამ დავალების შესაფასებელი სქემის მოწოდებას. მოსწავლეს მიიღებს განმავითარებელ შეფასებას და არა განმსაზღვრელს (არ დაუწერება ქულა)მოხდება მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების გაანალიზება და შესაბამისი აქტივობების დადგენა მათი წინსვლის ხელშესაწყობად. მიღებული შედეგები საინტერესო და სასარგებლო იქნება სწავლ-სწავლების პროცესის ყველა მონაწილე მხარისათვის.

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა სკოლისათვის მნიშვნელოვანი სხვა მიმდინარე საკითხები.

სკოლა ანაბასისის წარმატების საიდუმლო მშობლებთან აქტიურ თანამშრომლობაშია. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. სკოლა დაინტერესებულია მშობელთან აქტიური თანამშრომლობით, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე , მასწავლებლებზე, მშობლებსა და მოსწავლეებზე. მშობლები და მასწავლებლები ერთიანდებიან ხელი შეუწყონ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ზრდას, სოციალურ, ემოციურ, ინტელექტუალურ განვითარებას. მზრუნველთა საბჭო ყველა კლასის მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი საზოგადოებაა , რომელიც დაინტერესებულია სკოლის მოსწავლეთა სწავლა -აღზრდის პროცესის სრულყოფით და მისთვის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებით .

მადლობა ანაბასისის მოსწავლის ყველა მშობელს თანამშრომლობისათვის , ერთად ნამდვილად შევძლებთ მყარი საძირკველი ჩაუყაროთ ჩვენი შვილების ნათელ მომავალს!

2. 8 მაისი, 18:22-ზე ·

„PIZA 2022“ ანაბასისში.

სკოლა ანაბასისი მონაწილეობს საერთაშორისო კვლევში, რომლის სრული სახელწოდებაა მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა, “PIZA”.

აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობით დგინდება როგორ იციან მოსწავლეებმა მათემატიკა, კითხვა და საბუნებისმეტყველო საგნები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს სახელით კვლევაში მონაწილეობს 7130 მოსწავლე. საქართველო ერთ-ერთია PIZA-ის კვლევაში მონაწილე 85 ქვეყანასა და საგანმანათლებლო სისტემას შორის.

1. წარსულის ნაკვალევზე. რას გვიმალავს მიწა?

დიმიტრი უზნაძე ბრძანებდა : „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევენ, არამედ – განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას”. 21-ე საუკუნის მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ იმ უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკურენტუნარიანსა და წარმატებულს გახდის. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტებით სწავლება.

ანაბასისის წამყვანი მასწავლებელი ლოლიტა ნებიერიძე სწავლების პროცესში წარმატებით ახორციელებს სასწავლო პროექტებს. ერთ-ერთი მათგანია ,,წარსულის ნაკვალევზე. რას გვიმალავს მიწა? ‘’, ჩატარებული აქტივობებით მოსწავლეებმა შეიტყვეს, რომ მრავალი წლის განმავლობაში მიწამ და მტვერმა დაფარა ძველი ნასახლარები. შემდეგ ეს მიწა მცენარეებით დაიფარა და ყველაფერი დაიმალა. არქეოლოგები სწორედ ის ადამიანები არიან , რომელიც მიწის ქვეშ ნასახლარებს, ძველ საგნებს პოულობენ. ამ ნივთებს ასუფთავებენ და ფრთხილად ინახავენ სპეციალურ შენობაში, რომელსაც მუზეუმი ჰქვია. ამიტომაც განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ელოდებოდნენ მეორეკლასელები

ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვიზიტს . მათი ცნობისმოყვარეობა თბილმა, თავის საქმეზე შეყვარებულმა და პროფესიონალმა მასპინძლებმა სრულიად დააკმაყოფილეს. ქალბატონმა ნინო აბესაძემ ინფორმაციები არქეოლოგიაზე, ფოტოებზე და ექსპონანტებზე დაკვირვებით მათთვის კარგად გასაგები და აღქმადი გახადა. ყველაზე მთავარი კი იმიტირებული ,,არქეოლოგიური სამარხები“ იყო , კარგად დამალული ,,წარსულით'' , მოსწავლეებმა არქეოლოგების როლები სიამოვნებით მოირგეს და საინტერესო ,,აღმოჩენებიც'' განახორციელეს. აღმოჩენის სიხარულიც იგემეს და პროექტის შეჯამებაც მოახდინეს. დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხი გასცეს კითხვას: რას გვიმალავს მიწა?

მეორეკლასელთა ექსკურსიის ორგანიზატორები იყვნენ სკოლა ანაბასისის წამყვანი მასწავლებლები ლოლიტა ნებიერიძე და ხათუნა წითელაშვილი . წარმატებები მათ მოსწავლეებთან ერთად!

მადლობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს თბილი მასპინძლობისათვის და თანამშრომლობისათვის!